




საკოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 19

მ ა ი ს ი 7 1900

№ 19

შინაარსი: ივ. აივაზოვსკი.—პალ. ყიფიანის საქმე ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—„კვალი“-ს კორესპონდენცია.—ინგლის ტრანსვაალის ომი. თფილისის ბანკის კრება.—ჰერბერტ სპენსერი 3—სა.—მუშის სიმღერა, ლექსი ნინოწმიდელისა.—წერილები რედაქციის მიმართ.—სააბრეშუმიო სადგურის საყურადღებო ბ. ჩხიკვიშვილისა.—ბაქოს ქართული ბიბლიოთეკა ს. ტავაძისა. და საქველ-მოქმედო საქმე



† ივ. აივაზოვსკი.

დღეის 19 კარდაიცვალა ცნობილი მხატვარი ივ. აივაზოვსკი თავის მამულში 83 წლისა.

უსათუთა ეველას, ვისაც გემით უმოგზაურია და ფეოდლისაზე გაუვლია, ენახება ეველას მისი ნახატები. მას ჰქონდა თავის საკუთარ სახლში, ფეოდლისაში გამოფენილი ერთი მეორეზე უკეთესი ნახატები და ეველას მკზავრს, ნაცნობს და უცნობს, შეეძლო უსასყიდლოთ ამ ნახატების ნახვა. იგი მეტის-მეტე ხელფანებით ხატავდა წყალს, ზღვას და ზღვის კიდევს, ფურთენას ზღვაზე და სხვ. საკუთრივ ამ გვარ მხატვრობაში მას ცალი არ ჰქავდა მთელ ევროპაში და ამერიკაში. ის იყო პეტერბურლის მხატვრობის პრეფერარი და თითქმის ეველას მოსოფლიო გამოფენაზე ეურადღებს იმსახურებდა და აჯილდოებდა. ერთ საუკეთესო ნახატით ითვლება მისი შავ ზღვაზე ფურთენა, რომლის პირი „ბეალის“ კასულ ნომერში დაიბეჭდა.

ბალ. ყიფიანის საქმე.


მფილისის სათ.-აზნ. ბანკს გასულ საანგარიშო წელს ისეთი მოულოდნელი ზარალი მოუვიდა, რის მზგავსი მას არასოდეს არ მოსვლია და რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში და ცხარე კამათი წარმომადგენელთა კრებაში. ეს ზარალი მიაყენა მას ბ. ბალ. ყიფიანმა, გამგეობის დირექტორათ და ბაქოს სააგენტოს მმართველთა ნამყოფმა, ხოლო ამ ჟამათ საზღვარ-გარეთ გაქცეულმა. ამ საქმის შესახებ ბანკის გამგეობამ კრებას წარმოუდგინა მოხსენება, სადაც ანუსხულია დანაშაულობა ბ. ყიფიანისა და ზარალი ბანკისა. აქედან ჩვენ ვტყობილობთ შემდეგს: 1, 22 — 30 მაისი (1899 წ.) ყიფიანს მიუღია სხვა-და-სხვა მსესხებლებისაგან ხვედრი გადასახადი — სულ 4249 მ. 5 კ., გაუცია მიღების კვიტანცია, სააგენტოს დაფორებში შეუტანია, ხოლო ფული კი გაუფლანგავს. 2, იმავე მაისის ანგარიშით ყიფიანს მიუღია ერთი მსესხებელისაგან (ვოსკანოვი) 16,225 მ. 90 კ., ხოლო კასის დაფორებში არ შეუტანია და ფულიც არ წარმოუდგენია; 3, იმავე მსესხებლებისათვის მას უნდა მიეცა გირაუნობის ფურცლებით 30 ათასი მ. ამ ფულიდან მიუცია ათი ათასი ერთხელ და ათი ათასი მეორეჯერ, რის გასამართლებელი საბუთები, მსესხებლის მიერ ხელმოწერილი, საქმეშია ჩაკერებული; მაშასადამე მსესხებელს მიუღია 20 ათასი მან., რაც შეეხება დანარჩენ ათი ათას მ.—ამაზე დაფორში 1 ივნისის თარიღით სწერია: გადავეცი იმავე მსესხებელსო—ხოლო რაიმე გასამართლებელი საბუთი კი არ მოიპოვება. ასე რომ ბანკი ვალდებული შეიქნა ეს ფული გადაეხადა მსესხებლისათვის (მორიგებით მსესხებელი 6,373 მ. 33 კ. დასჯერდა). ამ ნაირათ, ყიფიანის წყალობით მომხდარი ბანკის ნამდვილი ზარალი უდრის 26,856 მ. 76 კ. ამ ფულიდან 20,428 მ. 78 კ. დაიფარა გასული წლის ბანკის წმინდა მოგებიდან, ხოლო დანარჩენი დაიფარება მიმდინარე წლის მოგებიდან. ამას უნდა მიემატოს 39,600 მ., რომელიც ყიფიანმა მსესხებელ ნასირბეგოვს შეუქამა, როგორც ბანკის დირექტორმა და სააგენტოს მმართველმა. ეს საქმე სასამართლოში წარმოებს და წააგებს ბანკი თუ არაჯერ არავინ იცის. ამიტომ ეს კითხვა წელს არ აღუძრავთ კრებაზე და მით ის გადაიდვა მომავალი წლის კრებისათვის.

ერთი სიტყვით, ბანკს დაეკარგა ბაქოს აგენტის მეოხებით ჯერ-ჯერობით 26,856 მ. 76 კ. ნაღდი ფული.

ვინ არის დამნაშავე ამ საქმეში? ვის მოეთხოვოს პასუხი ამ სამწყხარო მოვლენის? შეიძლე-

ბოდა მისი თავიდან აცოლებს? აი ამან დასხვაობის თანა კითხვებმა მოიცვეს წლებიდანელი ბანკის კრება, ამან გამოიწვია რამდენიმე დღის კამათი, ეს აინტერესებს საზოგადოებას და ჩვენც აქეთკენ გვსურს დღეს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ. აქ ჩვენ ვინელმძღვანელებთ გამგეობის „მოხსენებით“, ზედამხედველი კომიტეტის პროტოკოლებით და კრებების ანგარიშით, რაც უკვე გაზეთებში დაიბეჭდა.

კითხვა—ვინ გაფლანგა ფული — თავისთავათ ცხადია. ფული გაფლანგა ერთათ ერთმა ბალ. ყიფიანმა. ეს არავისთვის სადაო არ არის. მაგრამ ყიფიანი მოქმედებდა ბაქოში არა როგორც ყიფიანი, არა თავისი და თავისი ჯიბის სახელით, არამედ როგორც ბანკის წარმომადგენელი, ბანკის და მისი გამგეობის სახელით მოქმედი. ხოლო ბანკს, როგორც კოლეგიალურ დაწესებულებას, აქვს თავისი საკუთარი წესდება, რომელსაც უნდა მორჩილებდეს თითოეული მისი მოსამსახურე სამსახურის ასრულების დროს. მაშასადამე ყიფიანსაც რაიმე განსაზღვრული წესები უნდა ჰქონებოდა და მათ თანახმად ემოქმედნა. მეორე მხრით, ყიფიანში შეერთებულია ორი ფუნქცია—დირექტორობა ბანკისა და მმართველობა ბაქოს სააგენტოსი. ის როგორც დირექტორი არჩეულია კენჭით, საზოგადო კრების მიერ. მაშასადამე ყიფიანი-დირექტორი პასუხის მგებელია კრების წინაშე. მისი გადაყენება ამ თანამდებობიდან ან ხელ-ახლა არჩევა შეუძლია მხოლოდ კრებას და სხვას არავის. ხოლო ყიფიანი, როგორც ბაქოს აგენტი-არჩეულია ბანკის გამგეობის მიერ. გამგეობამ გაგზავნა ის ბაქოში 1 ოქტომბერს 1898 წ. და მიანდო იქაური საქმეების გაძღოლა. მაშასადამე, ყიფიანი—აგენტი პასუხის მგებელია გამგეობის წინაშე და მისი გადაყენება ან და ხელ-ახლათ დანიშვნა შეუძლია მხოლოდ გამგეობას და სხვას არავის. ყიფიანმა დანაშაულობა ჩაიდინა ბაქოში, აგენტობის დროს. ცხადია, დამნაშავის სკაშივა ყიფიანი-აგენტი, ე. ი. ყიფიანი გამგეობის წარმომადგენელი და არა ყიფიანი-დირექტორი, ე. ი. ყიფიანი საზოგადოების წარმომადგენელი. საზოგადოებამ ის აირჩია ბანკში, სხვა მოხელეებთან ერთად სამუშაოთ. აქ კი თითოეული მოსამსახურე მტკიცე კალაპოტშია ჩაყენებული და რომც მოინდომოს ფულის მობარვა—გაუჭირდება. აქ რომ ყიფიანი ყოფილიყო უეჭველია დღესაც აქ იქნებოდა და არც რაიმე გაიფლანგებოდა. ის ბანკში წინათაც მსახურობდა, მაგრამ არაფერი მოუპარავს. ის აქ არ დაყენეს, ის გაგზავნეს ბაქოში, და მთელი საქმე მარტო-მარტო მას მიანდვეს. იქ მას არ ჰყოლია არც უფროსი, არც უნცროსი. თვითონ იღებდა



ფულს, თვითონ ადგენდა დავთრებს, ივირავებდა მამულებს, ღებულობდა ფულებს — ერთი სიტყვით ის საქმე, რომელიც თფილისში მთელი რიგი მოსამსახურეების ხელში გადის, გადიოდა ბაქოში მხოლოდ ყიფიანის ხელში. აშკარაა, აქ მას ხელფეხი გახსნილი დაურჩა, სარბიელი გაფაროვებული და ასეთ თავისუფალ პირობებში ადამიანს დიდი დისციპლინა და ხასიათის სიმტკიცე უნდა ჰქონდეს შემუშავებული, რომ წრეს არ გადაცილდეს და სხვისი ფულით არ ისარგებლოს. და ეს განსაკუთრებით ბაქოში, სადაც ღარიბ კაცს შეუძლია ერთ დღეს მილიონერი გახდეს. ბაქოს ნავთის წარმოა ბა არაფრით ჩამოუვარდება ბირჟაზე აქციებით თამაშს და ასეთ ადგილას სხვისი ფულის მატრიალებელს ძალიან ბევრი მაცდურა ბილიკები უჩნდება. უეჭველია გამგეობას ყველა ეს სახეში ჰქონდა მიღებული, როცა ის ინსტრუქციას ადგენდა და ყიფიანს აძლევდა: აი შენ იქ ამის ძალით მოქმედებდეო. ამ ინსტრუქციაში საყურადღებოა სამი მუხლი: 1) ყიფიანს ნება არ ჰქონდა სახლში დაეტოვებია ას მანეთზე მეტი ფული, 2) ყოველ კვირაში მას თავის მოქმედების ანგარიში გამგეობისთვის უნდა ეგზავნა, და 3) შემდეგ ორი თვისა ის ბაქოდან უნდა წამოსულიყო და მის ალაგას სხვა დანიშნულიყო. პირველი მუხლით ყიფიანს არ შეეძლო ბანკის ფული კერძო საქმეებში გადაეტანა და თვითონ ესარგებლებია. მეორე მუხლით, ის ერთიანათ გამგეობის კონტროლის ქვეშ დადგა. ხოლო მესამით ხომ სრულებით ესპობოდა სახსარი თავისუფლათ პარპაშობისა.

და აი, ეს სამი მუხლი რომ დაცულიყო, ყიფიანი ვერ ჩაიდენდა დანაშაულობას, ბანკს ზარალი არ მიეცემოდა და ჩვენ ქვეყანას სასარგებლო კაცი არ დააკლდებოდა.

ვინ იყო ინსტრუქციის დარაჯი და მისი შესრულების მახოვნელი?.. რასაკვირველია ის, ვინც ის შეადგინა ე. ი. გამგეობა. გამგეობას უნდა დაეცვა თავისი წესები და მით დაეცვა ბანკის ინტერესები. წინააღმდეგ შემთხვევაში ის იქნებოდა ზსუსხის მგებელი, ნიკთიერათ თუ არა, ზნეობრივთ ნაინც. შეასრულა გამგეობამ ეს თავისი მოვალეობა?

ამის პასუხს მოგვცემს ფაქტების ანუსხვა. გამგეობის „მოხსენების“ სიტყვით ბაქოს სააგენტოს პირველი რევიზია მოხდა 14 - 16 იანვარს 1899 წ. რევიზია მოახდინა გამგეობის თავმჯდომარემ თ. ი. ჭავჭავაძემ. როცა კრებაზე მას ჰკითხეს, რამ გამოიწვია რევიზიაო, მან ასე უპასუხა: ხმები დადიოდა, ვითომ ყიფიანი ბანკის

ფულს რაღაც საქმეებში ახანდებდა. თვითონ მითხრა ერთხელ, ნავთის ერთი აქცია ათას მან. ვიყიდე და მეორე დღეს ათას ხუთასათ ვავყიდეო. ეჭვი აღმძვრა, სად უნდა ჰქონებოდა ეს ათასი მანეთიო და სხ. აშკარაა, ყიფიანმა მისვლისათანავე ბანკის ფულით სარგებლობა მოინდომა. ჭავჭავაძე მიდის ბაქოში, ახდენს რევიზიას და მოხსენებაში წერს: აღმოჩნდა მხოლოდ ორი უმნიშვნელო შეცდომა, სხვა ყველაფერი რიგზეა, რაც დაამტკიცა მეორე რევიზიამაო.¹⁾

შევჩერდეთ აქ ცოტა. ჭავჭავაძე ამბობს: ჩემი რევიზია მეორე რევიზიამაც დაამტკიცაო. ახლა გავმინჯოთ მეორე რევიზიის პროტოკოლი.²⁾ აქ სწერია: 1898 წლის ტალონებზე №№ 54, 60, 67, 70, 72, 73, 74, 90-ზე არ არის აღნიშნული რიცხვი მიღებული ფულებისაო. სამი ტალონით მიღებულია 215 მ. 24 ოქტომბერს, ხოლო დავთარში ჩაწერილია 26 ოქტომბერსო, მე-60 ნომრის ტალონით მიღებულია 2025 მ., ხოლო როდის არა ჩანს, დავთარში კი 2 დეკემბერს არის შეტანილი. ნოემბერში მე-4 და 5 ნომრის ორდერებში არ არის რიცხვი ფულის მიღებისა. 30 ნოემბრის თარიღით დავთარშია ჩაწერილი 105 მ., ორდერებში კი ნაჩვენებია 98 მ. 81 კ. (№ 6, 7). 28 დეკემბერს დავთარშია მოხსენებული 40 მ. 35 კ., ხოლო ამის ორდერი არ არის და სხ.³⁾ ერთი სიტყვით მეორე რევიზიამ კი არ დაამტკიცა ჭავჭავაძის რევიზია, არამედ ერთიანათ დაარღვია და მრავალი ის უწყსოებანი აღმოაჩინა, რაც მან ვერ აღმოაჩინა. და განა ეს არის ყველაფერი „Благополучно обстоит“-ო?

ეს კიდევ ცოტაა, მან ვერ აღმოაჩინა ვერც ერთი ის აშკარა დანაშაულობა, რომელიც ყიფიანს მოუხდენია 1898 წლის გასვლამდის და რაც ანუსხულია თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილის საბრალმდებლო ქალაქის პირველ ოთხ მუხლში. აი ეს მუხლები:

1) „Обнаружены лишь два незначительных упущения, все же остальное, какъ оказалось, обстоит благополучно, что подтвердилось и второю ревизією, разслѣдовавшюю и этотъ періодъ времени“. (გვ. 2).

2) მეორე რევიზია, რომელიც მაისში მოხდა (1899) შეიცავდა შემდეგ პირთ: ზედამხედველ კომიტეტის წევრთ: თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილს, თ. ს. რ. ვახვახიშვილს და ბ. გ. ყურულს, გამგეობის თავმჯდომარეს თ. ი. ჭავჭავაძეს და ბანკის ერთ ბუზგალტერს. თავმჯდომარეობდა თ. ანდრონიკაშვილი.

3) ეს შეცდომები კრებაზევე აღნიშნაო. გ. მაჩაბელმა და სრულიად ეთანხმება პროტოკოლებს.

1, 13 ნოემბერს 1898 წ. ყიფიანმა გამოიტანა მომდინარე ანგარიშიდან (კრედიტი ჰქონდა გახსნილი სია ათასი მანეთის ბაქოს „სამხრეთ-რუსეთის ბანკში“) 1400 მ. რაიცა სრულებით არ იყო საქირო მიმდინარე აპერაციებისათვის. ეს ფული დავთრის შემოსავალში აღნიშნა მხოლოდ 18 ნოემბერს და აქაც ცალკე კი არა, არამედ ერთ დიდ რიცხვში—17,900 მანეთში. მაშასადამე ეს 1400 მ. იყო მის პირად სარგებლობაში 5 დღის განმავლობაში და ბანკსაც შესაფერი პროცენტები დაეკარგა.

2, 3 დეკემბერს ასევე გამოიტანა 500 მ. და შემოსავალში მხოლოდ 10 დეკემბერს შეიტანა. ამით ბანკს დაუკარგა შესაფერი პროცენტები 7 დღის განმავლობაში;

3, აგრეთვე 17 ნოემბერს გამოიტანა 30 ათასი მ. და 18 ნოემბერს 20 ათასი მ. აკრედიტივიდან, ხოლო 16,500 მ. მიმდინარე ანგარიშიდან სამი ჩეკით, რაც ბანკის საქმეთათვის არ იყო საქირო. ეს ფული თუმცა ამავე დღეს შეიტანა მომდინარე ანგარიშში, მაგრამ ერთი დღის პროცენტები ბანკს მაინც დაეკარგა.

4, 10 დეკემბერს ყიფიანმა მისცა კერძო პირს კვიტანციის გირაოს ქვეშ (подъ залогъ квитанции на представителя) 5 პროცენტის უვადო გირავნობის ფურცლებით 30,586 მ. 12 კ., ე. ი. მისცა ავანსი არა-მსესხებელს რაიცა აკრძალულია ბანკის წესდებით, და ეს დაუმალა გამგეობას.

ყველა ეს მოუქმედებია ბ. ყიფიანს 1898 წლის გასვლამდის, ხოლო ი. ჭავჭავაძემ რევიზია მოახდინა 14—15 იანვარს 1899 წ. და ვერც ერთი ეს სიყალბე ვერ აღმოაჩინა, თუმცა ყველა იმის აღმოჩენა (გარდა მე-4 მუხლში მოხსენებულისა) შეიძლებოდა მაშინვე.


ამგვართ, ჭავჭავაძის პირველმა რევიზიამ ჩიარა ფუჭათ. ორში ერთი: მას ან არ მოუხდენია რევიზია და მაშასადამე ვერც რამეს ამოაჩენდა, ან მოახდინა, მარა იმდენათ ზერელათ, რომ აშკარა ფაქტები ვერ შეამჩნია. ორივე შემთხვევაში თავისი მოვალეობა ვერ შეასრულა. რაც შეეხება „მოხსენების“ სიტყვებს პირველი რევიზია „მეორე რევიზიამ დაამტკიცაო“, როგორც დავინახეთ, ერთიანათ ტყუილია.

დადგა 1899 წ. ინსტრუქციის ძალით, ყიფიანი უნდა დაბრუნებულიყო თფილისში, მაგრამ ის ისევ ბაქოში რჩება და ბანკის ფულებით თავის ოპერაციებს აგრძელებს. გამგეობა ამით არღვევს თავისსავე ინსტრუქციას და რაღა გასაკვირველია ის დაარღვიოს ყიფიანმაც, გარდა ამისა ინსტრუქციის ძალით ყიფიანს ყოველ კვირაში თავის მოქმედების ანგა-

რიში უნდა ეგზავნა გამგეობისათვის. ის მართლაც ასრულებდა ამას იანვრამდის. ხოლო შემდეგ კი აურია, ხან ორ კვირაში გზავნიდა, ხან სამ კვირაში და ხან სულ არა (მაგ. აპრილში) და ასე გამგეობის ზედამხედველობას თავიდან იცილებდა. გამგეობა, ჭავჭავაძის სიტყვით, წერდა ყიფიანს, ანგარიშები დროზე გამოგზავნეო, ის კი არა გზავნიდა და ყველა ამას გამგეობა ითმენდა! და ასე გაშინჯეთ, ის ანგარიშებიც-კი, რომელთაც ყიფიანი გზავნიდა, გამგეობის მხრით შეუმოწმებელი რჩებოდა და მხოლოდ დავთრებში ინიშნებოდა და მიღებულიაო. ზედამხედველი კომიტეტის წევრმა თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილმა კრებაზე შეურყევლათ დაამტკიცა, რომ გამგეობას შეეძლო თებერვალშივე აღმოეჩინა ბოროტ-მოქმედებანი ყიფიანის ანგარიშების შემოწმებითო. აი რა თქვა მან 27 აპრილს: „თებერვალში მიღებული ანგარიში სრულიად ამტკიცებს ყიფიანის დანაშაულობას, და აი როგორ, 17 თებერვალს ის იღებს სამხრეთ-რუსეთის ბანკიდან 40,000 მ. 18 თებერვალს 500 მ. და 19 თებერვალს 4 ათასს და აბრუნებს იმავე ბანკში მხოლოდ 27 თებერვალს. გამგეობას რომ გამოეთხოვა ამ ბანკის ანგარიში და შეედარებია ყიფიანის ანგარიშთან, მაშინვე გაიგებდა ფულის ნამდვილ მოძრაობას. ამგვართ ყურადღებით გაშინჯვა ყიფიანის ერთი თვის ანგარიშისა ნათელ ჰყოფდა მის ბოროტ მოქმედებასო. 27 აპრილის კრებაზე ჭავჭავაძეს პირდაპირ მისცეს კითხვა: ანგარიშებს ამოწმებდით თუ არაო. ჭავჭავაძემ ამაზე პასუხი არ მისცა და მით აღიარა არ გამოწმედითო.

აქედან ცხადია, რომ გამგეობამ თავისი ხელითვე დაარღვია თავისივე ინსტრუქცია და ამით თავისუფალი, შეუზღუდავი სამოქმედო ასპარეზი მისცა ბ. ყიფიანს ბაქოში. გამგეობა, წინააღმდეგ ინსტრუქციისა, ყიფიანს ტოვებს ბაქოში მთელ 8 თვეს, ე. ი. სანამ „ოტპუსკს“ აიღებდა თვითონვე და პარიზში წავიდოდა; გამგეობა, წინააღმდეგ ინსტრუქციისა, დროზე არ ღებულობს ყიფიანის ანგარიშებს და ამას ის არაფრათ აგდებს; გამგეობა პირდაპირ დალატობს თავის საქმეს, როცა ყიფიანის ანგარიშებს არ ამოწმებს ბაქოს სამხრეთ-რუსეთის ბანკის ანგარიშებთან და არ ტყობილობს რამდენათ ეთანხმება ეს ორი ანგარიში ერთმანეთს. ამას მიუმატეთ ისიც, რომ ჭავჭავაძის რევიზია არავითარ რევიზიას არა ჰგავს და თქვენ ნათლათ წარმოიდგენთ ერთ მთავარ მიზეზს ყიფიანის დაკარგვისას.

რაკი გამგეობამ უყურადღებოთ დატოვა ყიფიანი, ასპარეზზე გამოვიდა ბანკის ზედამხედველი



კომიტეტი და, როგორც „მოხსენება“ ამბობს, მისი ინიციატივით ხდება ბაქოს სააგენტოს მეორე რევიზია. რევიზია დასრულდა პირველ მაისს. ამ რევიზიამ, როგორც ვთქვით, აღმოაჩინა მრავალი ბოროტ-მოქმედება, ზოგი ამათვანი სისხლის სამართლის ხასიათის, ხოლო ბანკის კასას აკლდა 118 მ. და 34 კ. კომისიამ ძალიან დააგვიანა პროტოკოლის შედგენა და კომიტეტისათვის წარდგენა უკანასკნელი მსჯავრის დასადებათ. როგორც იყო თითქმის ერთ თვეს შემდეგ, 29 მაისს, პროტოკოლი წარმოუდგინეს ზედამხედველ კომიტეტის და გამგეობის შეერთებულ სხდომას. ამ სხდომას დაესწრო თვით პალ. ყიფიანი და პირადათ აძლედა პასუხებს რევიზიის შენიშვნებზე, ხოლო წერილობით პასუხს შემდეგ წარმოვადგენო. კომიტეტმა მოუცადა ამ წერილობით ახსნას და არავითარი გადაწყვეტილება არ დაადგინა. გავიდა სამი კვირა და „ახსნა“ არსად იყო. და აი, 23 ივნისს თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილმა კომიტეტს წარუდგინა თავისი შესანიშნავი 23 საბრალმდებლო მუხლი ყიფიანის წინააღმდეგ, რომლის პირველი ოთხი მუხლი ზევით მოვიყვანეთ. აი შინაარსი დანარჩენი საბრალმდებლო მუხლების: 6, თებერვლის 17 მან ბანკიდან გამოიტანა 40,000 მ., აქედან 20 ათასზე მეტი კერძო პირს მიაბარა, ხოლო როცა 18—19 თებერვალს 4,500 მან. დასჭირდა ოპერაციებისათვის ეს ფული იმ პირს კი არ გამოართვა, არამედ ბანკიდან გამოიტანა; 7, თებერვალში სხვა-და-სხვა დროს მან ასესხა ბანკის ფული უპროცენტო ბაქოს მცხოვრებთ: კიზან-საფარ-ალი-კიზს ასი ათასი მ., ტარაევს; 6. დ.—130 მ. მნაცაკანოვს—100 მ.; 8, 7 თუ 8 მარტს ასესხა აშურბეგოვს ბანკის ფული 5,000 მ.; 9, 9 აპრილს წინააღმდეგ ბანკის წესდებისა მისცა კერძო პირს 4 1/2 პროცენტოანი გირავნობის ფურცლების გირაოს ქვეშ 9 ათასი მ. და ამას დაეთრებში უწოდა „ავანსი“, რითაც დამალა ეს უკანონო საქციელი; 11, 19—30 ნოემბერს (1898 წ.) მიღებული ფულები კასის წიგნში შეიტანა არა მიღების დღესვე, ცალ-ცალკე, არამედ შემდეგ, 30 ნოემბერს და მოაქცია ერთ დიდ რიცხვში—1119 მ. 78 კ., 15, დროს ფულის გაცემისას (4, 28 და 31 იანვარს 1898 წ., 2 თებერვალს და 16 აპრილს 1899 წ.) და მიღებისას (15 იანვარი, 25 მარტი და 6 აპრილი 1899 წ.) მართლათ არ ნიშნავდა ან და სულ არ აღნიშნავდა, რის გამო კასის დაეთრების ანგარიშები ირეოდა; 17, ნება მისცა თავის თავს, ეთხოვა დამფასებლის თ. თუმანიშვილისათვის რომ მას შეედგინა აქტი უკანა რიცხვით შესახებ კიზან-საფარ-ალი-კიზის სახლის დაშენებისა; 19, მიუხედავად გამგეობის თავმჯდომარის მიწერილო-

ბისა, რომ დამფასებელი თ. თუმანიშვილი იმსახურებდა ბაქოში ბანკის საქმეების გამო, ყიფიანმა ის მაინც არ მიიღო და რამდენიმე დღის განმავლობაში, წინააღმდეგ თავმჯდომარის ტელეგრამისა, ის არ თანხმდებოდა თუმანიშვილისათვის გადაეცა საქმეები დასახედავად და შესაფასებლათ; 21, ყიფიანის ანგარიშები, რომელთაც უგზავნიდა გამგეობას, არ ეთანხმებოდნენ დაეთრებს, რის გამო გამგეობა ვერ ტყობილობდა ფულის მოძრაობის რაოდენობას, ხოლო აპრილში მას სრულებით არ წარმოუდგენია ანგარიშები და მაშასადამე გამგეობაც ვერ გაიგებდა ამ თვეში მომხდარ ბოროტ-მოქმედებას; 22, 17 თებერვალს, როცა მსესხებელს ტარაევს სრულიად გაუსწორა ანგარიშები, არ დაუჭირა წინეთ მიცემული 1300 მ. და ამ ფულიდან მას დაუტოვა უპროცენტოთ 300 მ. 9 მარტამდის, ხოლო 1000 მ. 25 მარტამდის; 23, მან აიღო ბანკიდან 19 მარტს 2 ათასი მ. და 23 მარტს ათასი მ. თუმცა ოპერაციებისათვის ეს ფული საჭირო არ იყო და მით ბანკს დააკლო შესაფერი პროცენტები. გარდა ამისა ჩვენ მიერ გამოტოვებულ მუხლებში ჩამოთვლილია ის, რაც ზევით მოვიხსენიეთ, სახელდობრ, არადგენდა ყოველ კვირაში ანგარიშებს, ბანკის ფულს ხანდახან 25 ათასამდე სახლში იტოვებდა რამდენიმე დღით და თვითონ სარგებლობდა და სხ. ამისთანაები.

კომიტეტმა ამის შესახებ მაშინ არავითარი განჩინება არ დაადგინა და თავისი სხდომები შემოდგომამდის გადადვა. და აი, 12 ნოემბერს როცა ყოველივე ამბავი გამოაშკარავდა, ყიფიანი უკვე გაქცეული იყო და ფულებიც დაიკარგა, კომიტეტი იყრება და თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილის მუხლებს შეუტყვევლათ, ერთხმათ იღებს! ხოლო 4 დეკემბერს საქმე პროკურორს გადასცეს გამოსაძიებლათ. და ეს მოიმოქმედეს მაშინ, როცა ფულიც დაკარგული იყო და ყიფიანიც გაქცეული!

რატომ ასე გააჭიანურა კომიტეტმა და გამგეობამ საქმე? ამას ხსნის კომიტეტის წევრი თ. ვ. გ. მაყაშვილი შემდეგ ნაირათ: „ექვი არ არის, ბევრს საოცრათ მიაჩნია ის გარემოება, რომ კომიტეტმა რევიზიის მოხსენება აღრე მიიღო, მაგრამ მოხსენების განხილვას მაშინვე არ შეუდგა, ანგარიში არ გაუწია და შემოდგომამდე დააგვიანა. მაგრამ კომიტეტსა და გამგეობას არ შეეძლოთ ამ საქმის უცბათ გადაწყვეტა. უმთავრესი აქ ის უხერხულობაა, რომელშიაც კომიტეტი ჩავარდა. თავმჯდომარე კომიტეტისა და მისი მოადგილე სხვაგან იყვნენ წასული. დავრჩით აქ მარტო ჩვენ, წევრნი, ჩვენ ჩვენის ნებით ვიკრიბებოდით, მაგრამ არ ვიცოდით, შეიძლებოდა თუ არა კრება გავკვებართა.

ქართული
დასავლური

უთავმჯდომარეოთ და უმისამხანაგოთ, მით უმეტეს რომ კრებაზე ჩვენ ჩვენის ნებით მოვდიოდით და მოწვეულნი კი არ ვიყავით, როგორც ეს წესად გვაქვს. ზოგი ამბობდა, კრება უნდა გავმართოთ, ზოგი — ასეთი კრება უკანონო იქნებაო და ამ კამათში გავიდა დრო და ვერაფერი ვერ გადავწყვიტეთო“ („ივერია“, № 91). აი, რა კომედია უთამაშია კომიტეტს! მის თავმჯდომარეს საქმე დაუტოვებია არეულ-დარეულათ და ქალაქიდან წასულა! და ეს მაშინ, როცა თვითოეულ დღეს და კვირეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქმის ასე თუ ისე წასამართვათ. და ან განა თვით წევრებს არ შეეძლოთ ტელეგრამით გამოეწვიათ თავმჯდომარე ან მისი ამხანაგი? და თუ ეს მაინც არ ქნეს — უთუოთ იმიტომ, რომ საქმეს საჩქაროთ არ რაცხდნენ. აქედან ცხადია, რომ ამ საქმეს სულით და გულით არც ზედამხედველი კომიტეტი მოსკიდებია და დროზე უწყსოების ძირიანათ მოსპობა არ მოუნდომებია. მაშასადამე, მეორე მიზეზი ყიფიანის დაკარგვისა არის ზედამხედველი კომიტეტი.¹⁾

ასე თუ ისე, გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა ნათლათ დაინახა ყოველივე ის, რაც ყიფიანმა პირველი ოქტომბრიდან 1898 წ. პირველ მაისამდე 1899 წ: ბაქოს სააგენტოში მოიმოქმედა. მეორე რევიზიამ რომელიც დასრულდა პირველ მაისს, აღმოაჩინა ყველა ბოროტმოქმედებანი და ამ აღმოჩენაზე დაამყარა თ. ნ. ანდრონიკაშვილმა თავისი შეურყეველი 23 მუხლი. ეს ბოროტ-მოქმედებანი შეიცავდნენ დარღვევას ინსტრუქციისას, დარღვევას ბანკის წესდებისას, თვით-ნებობას ბანკის საქმეში, ბანკის ფულით თ. ვისი საქმეების კეთებას და სხ. ამისთანაებს. ეს სრულიად საკმარისი იყო, რომ ის გამოეწვიათ ბაქოდან და მის ალაგას სხვა დირექტორი დაენიშნათ. მაგრამ ის იქ დატოვეს მეორე რევიზიის

შემდეგაც, ე. ი. პირველი მაისიდან დაიწყო რეთ ამ დღიდან იწყება ბანკის ფულის გაფლანგვა. გამგეობის „მოხსენება“ ამბობს, რომ 26 ათასი მანეთის მითვისება მოახდინა მაისის თვეშიო. აშკარაა, ყიფიანი „თავს გავიდა“, იფიქრა, მე უფროსი აღარავინ მყავს და რაც მინდა იმას ვიზამო. ასე რომ ეს ფულის გაფლანგვა არის ზარალი შედეგი მისი წინანდელი თავაშუებულების და უკანტროლო დატოვების. ეს მისი მოქმედების მესამე პერიოდი, როგორც ამას გამგეობა უწოდებს, დაბადა პირველმა ორმა პერიოდმა. მაგრამ, რაც უფრო გასაკვირველია, ფულის გაფლანგვა აღმოაჩინეს მხოლოდ შემოდგომაზე, როცა ყიფიანი უკვე საზღვარ-გარეთ იმყოფებოდა. თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილმა კრებაზე დაამტკიცა, რომ 16 ათასის გაფლანგვა გამგეობას შეეძლო მაისშივე გაეგოვო და აი როგორ: 8 აპრილს 1899 წ. თფილისიდან ბაქოს გაიგზავნა ანგარიშის ფურცელი ვასკანოვის სესხის შესახებ. ანგარიშში იყო ნათქვამი, რომ ყიფიანს უნდა დაეჭირა ვასკანოვისათვის 16 ათ. მანეთი ნაღდი ფული და 30 ათასი მანეთის გირაუნობის ფურცელი. 19 მაისს ყიფიანის ქალაქი მიიღო გამგეობამ რომელშიაც ანუსხულია სია იმ პირთა, რომლებმაც სესხი მიიღეს. ამათ რიცხვშია ვასკანოვიც. მაშასადამე გამგეობამ 19 მაისს იცოდა, რომ ვასკანოვის სესხის საქმე გათავებულა, ე. ი. მისგან 16 ათასი მ. და 30 ათასი მ. გირაუნობის ფურცლები უნდა გამოერიცხათ. და ყიფიანის ანგარიშში კი არაფერია მოხსენებული ამის შესახებ. ცხადია, ფული გამოურიცხა, თვითონ ჯიბეში ჩაიღვა და ანგარიშში არ შეიტანა. გამგეობას რომ მაშინვე ეს ანგარიში გაეშინჯა მიხვდებოდა ფული დაკარგულაო და ყიფიანს პასუხს მოთხოვდა („Тифл. Лист“ № 101). ასე ლაპარაკობს წევრი ზედამხედველი კომიტეტის და ეს არავის არ დაურღვევია კრებაზე. ჭავჭავაძემ ამის პასუხათ ის თქვა, რომ ჩვენ მეტის-მეტე ნდობით ვეპყრობოდით ყიფიანის ანგარიშებს და არ გვქონდა მიზეზი (!!) უნდობლათ მოეპყრობიყავითო! და ეს მიზეზები არ ჰქონებიათ შემდეგ მეორე რევიზიისა! განა იმდენი ბოროტ-მოქმედება უნდობლობის მიზეზს არ შეადგენდა? განა ეს დასაჯერებელია ან სათქმელი?

1) საკვრელია, რომ კომიტეტის ზოგიერთი წევრი ჯერ კიდევ მარტში ყოფილა იმ აზრის, რომ ყიფიანი გამოვიხმით ბაქოდანო, მ. რა ეს მაინც ვერ განუხორციელებიათ. და ეს უმჯველია იმიტომ, რომ მისი გამოხმობა გამგეობის საქმე იყო და ან კომიტეტის. სხვათა შორის 31 მარტის პროტოკოლში ვკითხვლობთ გ. ჟურულის შემდეგ განცხადებას: „Изъ доклада, сдѣланнаго гн. Вахваховымъ, мы все убѣдились что отступленія дѣлались и въ кассѣ не разъ было свыше ста руб., а въ данномъ случаѣ въ продолженіе 8 дней въ кассѣ агентуры находилось 22 т. руб. Само собою разумѣтся, что такое положеніе нельзя считать нормальнымъ и наша обязанность рекомендовать правленію заняться немедленнымъ устраненіемъ его, признавъ съ своей стороны дѣйствія Кипіаниза отступленія отъ инструкціи“

მაისის ბოლო რიცხვებში ყიფიანი მოღის ბაქოდან და როგორც ჭავჭავაძემ მოგვითხრობს, ერთი კვირით „ოტპუსკს“ დებულობს სოფელში წასასვლელათ, ნამდვილათ-კი ბაქოში მიღის და იქიდან კიდევ თხოულობს ოთხი დღის თავისუფლებას. რადგანაც ყიფიანი აქეთ-იქით დადიოდა. საჭირო შეიქნა მის ალაგას სხვა აგენტის დანიშვნა და აი, 25 ივნისს გამგეობამ დაადგინა ყიფიანის

ნაცვლათ მანსვეტოვის განწესება. ამას შემდეგ ყიფიანი ღებულობს გამგეობადან ერთი თვის „ოტ-პუსკს“ და მიდის საზღვარ-გარეთ. აქ საყურადღებოა ის, რომ გამგეობამ არ გამოუცხადა ყიფიანს: ჯერ შენ მოადგილეს ჩააბარე საქმეები და მერე წადიო. არა, მან აქაც უყურადღებოა გამოიჩინა და მით ყიფიანს შეძლება მისცა მართლ-მსაჯულებას გაქცეოდა.

ამ ნაირათ, პალ. ყიფიანის საქმე მდგომარეობს შემდეგში: მან გაფლანგა ბანკის ფული და გაიქცა. ამაში პასუხის მკებელია მხოლოდ ის და სხვა არავინ. მაგრამ ეს მოხდა პირველ მაისს შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ როცა გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა ყიფიანის ყოველივე მოქმედება გამოიძიეს და დაინახეს, რომ მან სრულიად დაარღვია როგორც ინსტრუქცია, ისე ბანკის წესდებაც. მაშინვე რომ ყიფიანი ბაქოდან თფილისში გადმოეყვანათ, ის გაფლანგვას ვეღარ მოასწრებდა, ბანკი არ იზარალებდა და არც კაცი დაიკარგებოდა. მაგრამ გამგეობამ და კომიტეტმა ეს არ მოიმოქმედეს და აი, რამდენათ თითოეულმა ამ ორგანომ ეს ჩაიდინა, იმდენათ ის პასუხის მკებელია, ნივთიერათ თუ არა, ზნეობრივათ და საზოგადოებრივათ მაინც.

მარა ყიფიანის აგენტობიდან გადაყენება შეეძლო მხოლოდ გამგეობას, მაშასადამე მის გადაუყენებლობაში უმთავრესი პასუხის მკებლობა გამგეობას ეკუთვნის. აქედან, პალიკო ყიფიანის საქმის აღმოცენების უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩაითვალოს გამგეობის უყურადღებობა, დაუდევრობა და თავის მოვალეობის შეუსრულებლობა.

ბ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბები

ქუთაისის სათ.-აზნ. ბანკის წარმომადგენელთა კრება, მთავრობის განკარგულებით, გადაიდგა. ამის მიზეზი უნდა იყოს ბანკის უკანასკნელი რევიზია. რევიზიას განსაკუთრებითი ყურადღება მიუქცევია იმისთვის, რომ ბანკის გამგეობას და ზედამხედველ კომიტეტს ძალიან ცოტასმენიათ ბანკის საქმეებისა. ამის გამო, როგორც ამბობენ, სამინისტრო თავის მოხელეს გზავნის წარმომადგენელთა მომავალ კრებაზე ბანკის მდგომარეობის განსამარტებლათ და ოპერაციების გასაუმჯობესებელი ღონისძიების შესამუშავებლათ.

ქართული დრამატიული საზოგადოება აცხადებს სამ პრემიას—150 მ. 130 მ. და 100 მ.—ქართული ორიგინალური პიესის დასაჯილდოვებლათ. ვადა პიესის წარმოდგენისა არის 1 სექტემბრამდის, 1900 წ. პიესა უნდა იყოს სცენაზე დაუდგმელი და

დაუბეჭდავი. ავტორის ვინაობა უნდა აღინიშნოს დახურულ კონვერტში, რომელიც გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პიესა ჯილდოს ღირსათ იქნა ცნობილი.

იმავე გამგეობამ სათ.-აზნაურო ქარვასლის გამგე კომისიაში წინადადება შეიტანა, თეატრის შენობა იჯარით მოგვეცით და წელიწადში 3500 მ. იჯარის ფულს გადავიხდითო. გამგე კომისიას ჯერ პასუხი არ მიუცია.

ქიათურაში ბ. ნ. ლოლობერიძის თაოსნობით დგება შავი-ქვის მწარმოებელი ამხანაგობა, რომელსაც ძირის თანხათ ექნება 200 ათასი მ. წესდება უკვე შემუშავებულია და მალე გაიგზავნება სამინისტროში დასამტკიცებლათ.

ჩვენ მივიღეთ ანგარიში გაბრიელ ეპისკოპოსის სახელზე დაარსებული ქუთაისის ბიბლიოთეკისა, საიდანაც ეტყობილობთ შემდეგს: გასულ წელს ბიბლიოთეკას ჰქონებია შემოსავალი 1805 მ. და 4 კ. ამაში ჩათვლილია წინა წლიდან დარჩენილი 447 მ. და 4 კ. გასავალი ჰქონებია 842 მ 16 კ. ამ წლისათვის დარჩენილა ნაღდათ 962 მ. და 88 კ., რომლიდანაც 845 მ. გადაიდგა ძირითად თანხათ. ბიბლიოტეკას მოსდის ქართული ყველა ჟურნალ-გაზეთები, რუსული კი „კავკაზი“, „ქუთაისის უწყებები“, „ნივა“, „ნედელი“ და „ვესტნიკ ინოსტრანოი ლიტერატური“. ქართული წიგნების რიცხვია 1395, რუსულის 885. სამკითხველოში ყოველ დღე დადიოდა საშუალო რიცხვით 50 მკითხველი, სახლში მიქონდა წიგნი 200 კაცამდე. ბიბლიოთეკის გამგე ქალ. ელ. ჯინოვისა მადლობას უძღვნის ყველა შემომწირველთ და რედაქციებს, რომელთაც ნახევარ ფასათ დაუთმეს თავისი გამოცემა. დიდი მადლობის ღირსია თვითონ ქალ. ჯინოვისა, რომ ასე სამაგალითოთ წაუყვანია ბიბლიოთეკის ნივთიერი მდგომარეობა. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რუსული ჟურნალ-გაზეთები არ გამოუწერიათ ისეთები, რომელნიც დღეს ასე თუ ისე კილოს და მიმართულებას აძლევენ რუსეთის მოწინავე აზროვნებას. იმედია ამ ნაკლსაც შეავსებს ქალ. ჯინოვისა.

ჩვენ მივიღეთ ი. გოგებაშვილის მოთხრობა: „იანანამ რა ჰქმნა“, გამოცემა წ. კ. საზოგადოებისა. მოთხრობა კარგ ქალაღბზეა დაბეჭდილი, შეიცავს 32 გვ. და ღირს ერთ შაურათ.

„კვალის“ კორესპონდენციები

ბათუმა. აქაურ საურთიერთო ნდაბის ბანკის კრებაში (26 მარტი) დირექტორის ასარჩევათ დიდი აღიაქითი გამოიწვია, რგორც ბანკის წევრთა—ისე არა წევრთა შორისაც. ხსენებულ კრებაზე საქმის გარჩე-

ვის და ახალი არჩევანების მოხდენის მაგივრათ შენ-ჩემობას მოჭეუენ და ბოლოს ჯვარებით ხელში ერთმანეთს დაურეინ. შერე ვინ ბძანდებოდენ ეს გმირები არ იკითხვთ? ვინ და ბ. ბ-კი და ბ. ბ-კი, ერთი ზედგაცი და შერე კიდევ დიდი ვინმე, რთი ერთათ თვით მმართველობის ხმოსნები.

შერე კრება მოხდა 30 აპრილს. კრება გახსნილ იქმნა სრულ 5 საათზე ბ. ვოლსკის დროებით-თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრენ 233 ხმის წარმომადგენელი, შემდეგ კიდევ მოემატა 14 ხმა, 247. ბ. ვოლსკი მოასსენა კრებას წვერთა რიცხვის რაოდენობა და თან დასძინა, რომ წესდების ძლით კრება განიხილავ. და შემდეგ თხოვა აგრეთვე კრებას, კრების თავმჯდომარე აერხათ. თავმჯდომარეთ დასახელეს თ. ა. მ. ღორთქიფანიძე, მაგრამ მან უარი განაცხადა: შერე საზოგადოებაში გაისმა ხმა: „ვოლსკი, ვოლსკი“, აქა-იქ „ზაღმა!“ („ЧЕР. ВЪСТ.“ რედაქტორი); ზაღმა თანხმობა განაცხადა, მხოლოდ „კენჭი მივარეთ“. თავმჯდომარეობის თანამდებობაზე უუთი დაიდგეს ბ. ვოლსკი და ბ. ზაღმა. არჩეულ იქმნა ვოლსკი 169 ხმით 18 წინააღმდეგ, ზაღმა-კი მიიღო 98—149 წინააღმდეგ. თავმჯდომარემ გამოაცხადა: რადგანც ბ. ზარუნბუკოვმა გადაჭრით უარი თქვა დირექტორობის ადგილზე წელსაც დარჩენაზე, ამისათვის ჩვენ და რჩევა (СОВѢТЪ ЧЛЕНОВЪ) კანდიდატთ ვასახელებთ ბ. ა. ნანეიშვილს და ვთხოვ კრებას, თუ ვინმე ჭეუთ მხედველობაში სხვა კანდიდატი, დაასახელონო. კრება სახელებს ამავე ნანეიშვილს, მხოლოდ ერთი -- ზიბელმეისტერი. ამ უკანასკნელმა ირჩინით თქვა: მე არ ვსაჭიროებ მაგ თანამდებობას, არან ისეთები, რომელთაც ძლიერ სურთ ეს ადგილიო. რამდენიმე ხმა: „ვთხოვთ, ვთხოვთ!“ ზიბელმეისტერი ახლა მადლობით აცხადებს უარს. ერთი წვერთაგანი თხოულობს, რომ ნება მოგვეცით მოთქმების, რადგან ძლიერ სეროზული საქმე გვაქვს გადასწვევითო, (იქონიეთ მხედველობაში, რომ მდღე უკვე ქჭონდათ მოსაფიქრებლათ). ეს კითხვა უარზე თავმჯდომარემ. კრება კიდევ თხოულობს რომ ერთხმად იქმნას არჩეული ბ. ა. ნანეიშვილი. ბ. ა. გ. ზაღმა იძინის ირჩინულათ: „რატკვი ნეტავ ნანეიშვილს? ამ დროს ამბობს სიტყვას ბ. შხელიანსკი (საურთ-ერთო შორისო ნდობის ბანკის მმართველი) ნანეიშვილის შესახებ და აცხადებს საზოგადოებას მის მოღვაწეობას სხვა-და-სხვა სამსახურში. (იმდენი ქება შეასხა, რომ იმის ნახევარი თუ გამართლას ბ. ნანეიშვილმა დიდი დვთის წყალობა იქნება). საკმა მითქმამოთქმას შემდეგ ნანეიშვილი არჩეულ იქმნა 187 ხმით, 59 წინააღმდეგ. შემდეგ არჩეულ იქმნენ სარევიზიო კომისიის წევრებათ ჯერ ბარათებით და შერე ერთხმად ი. საბატრანშვილი, რადვილფიჩი და ი. კანდელაკი, მათ კანდიდატებათ ჩხატარაიშვილი, დიმიტროვი და ფირალოვი. რჩევის წვერებათ დასახელებულ იქმნენ ბარათებით:

ქიქაძე, ზიბელმეისტერი, ღორთქიფანიძე, საბაგვი და კლავდიაშვილი ამათ ვეულებს უუთები დაუდგეს და არჩეულ იქმნენ ღორთქიფანიძე 145 თ. 43 შ., ლ. ს. ქიქაძე 126 თ. 63 შ., და ნ. ა. საბაგვი 121 თ. 69 შ. კრება დაიშალა ათი საათის ნახევარზე.

გ. ტუხია.

ს. წევა (შორანის მაზრა). ამ ორა კვირის წინეთ აქ მოხდა ერთი საურადღებო ამბავი. ან. გაჩეილადე მოვიდა ერთი ვერსის სიშორიდან წევის ბასრში და მიუახლოვდა ერთ ჯგუფს, სადაც ცაცხარებულნი ლაზარაკი იუო; მაურებლებათ იუვენ იქ კიდევ ბევრი სხვა გაჩეილადეები, მათში ერთი ჭიათურაში მელავ-გამართული და ჩხუბს შეჩეუულს აქეისანდრე გაჩეილადე და მისი ბიძაშვილები. ამათ უბრლო საქმეზე აუტეხეს ჩხუბი ან. გაჩეილადეს, და ბოლოს გაქცეულსაც უკან დაედევნენ. მათ კიდევ უკანდან მისძახოდენ ათამდის ამუელისებული, მიჭეუვით სახლამდის, მოკალით ცოლ-შვილით, დაუნგრეთ, განანდგურეთ იქაურობაო. მიჭეუენ კიდევაც სახლამდი. საბრლო შევარდასახლში და მოჭეუტა კარები, ახლა მანინც გადაგრებოო, მაგრამ, იმათ თავისი გაიტანეს, დაუშინეს ღოდინები სახურავს, ჩამტვრიეს კრამიტები. ბოლოს გამწარებული გაჩეილადე კარეთ გამოვარდა, შეეტყა მოხხუბრებს, მაგრამ რას განდებოდა ისინი ბევრი იუვენ, და არჩია ისევ გაქცევა და დამალვა. მაგრამ იმისი წვრილი ცოლ-შვილი და მოხუცებული დედა დარჩა სახლში დამალულები. ბოროტ-მოქმედთ შეპტვრიეს კარები, მიამტვრ-მოამტვრიეს თუ რა ებდა, ამოდეს ხანჯალი და აკვანში მწოდარე ემწვილს ეელში დასჭირეს და იძახოდენ: ამას რომ მოგვკლავთ, მაშინ ხამ მოვა მისი მამაო. შეიქნა წივილ-კივილი, აკვანთან მივარდა მისი მოხუცებული ბებია და გადაეფარა აკვანს, ამ დროს მოვარდა შერე მძა ეზიფანე გაჩეილადე, დაჭკრა კეტი მოხუცებულს თქობზე და იქვე წააქცია. შეიქნა რეოლეურების და ხანჯლების ტრიალი. ატულა წივილ-კივილი, დამალულ მამას გულმა არ მოუთმინა, მოვარდა ისევ, მაგრამ უეტრათ თავში კეტი დაარტუეს და იქვე წააქციეს. უიმისოთაც მოქანტულ გლებ-გაცს წაესიენ კეტებით და სანამ ძვლები ტუავში არ ჩაუღაცეს არ მოეშვენ, ბოლოს კეტები ზურგზე დააყარეს და არჩეინათ შინისკენ წავიდენ.

ძირულ-ყვირილელი

ინგლის-ტრანსკაპლის მძი.

უკანასკნელი კვირის ცნობები ერთხმად დადაბებენ ინგლისის ჯარის ძევა-მოსილ წინმსუღელობას. ბურები თანდათან უკან-უკან იხევიან და თავის ზოზინციებს ინგლისელთ უტევენ. 28 აპრილის დეპუმა იუწეება, რომ მდინ. სანდთან ინგლისელებს წინ გადაუდგენ ბურები,

მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნენ უკან დახეულიყვნენ. ბურები გავიდნენ გაღმა და იქ დაიჭირეს მაგარი ზობიცა. რობერტსი მათ აღარ გაჭედა და ისევ ორანჟეს მეორე სატასტო ქადაქისაკენ — კრანშტადისაკენ გაემგზავრა. 29 ანრილის დეპეშა იუწყება: კრანშტადისაკენ მიმავალი ჯარი ჩინებულათ მიდის, წინ მიუძღვის ფრენი თავისი ცხენოსანი ჯარით. ბურები დიდი სისწრაფით იხევენ უკან, კრანშტადის გარეშემო თხრილებს აკეთებენ რობერტსი იუწყება: იმავე რიცხვით; მთავრით ბაშონტში, 8 მილის სიშორეზე კრანშტადიდან, სადაც ბურებს გამართული ჭქონდათ ძლიერი სიმაგრე. როგორც კი მიგუხლოვდით, მტერმა მიატოვა ზირველი სახელები და მდინ. ვაალზე გავიდნენ. 30 ანრილს კრანშტადიდან დეპეშით იუწყებან: რობერტსი შემოვიდა აქ ისე, რომ მტერს წინააღმდეგობა არ გაუწევია. ინგლისის დროშა ამართულ

იქმნა. ორანჟეს ზრეზიდენტი შტეინი გუშინ სადასმის კაიქა, თუმცა მოქალაქენი ურჩევდნენ წინააღმდეგობას განაგრძო. ტრანსვაალემა ბურებმა გამოაცხადეს, რომ მტერს აღარ ვითმებთ ორანჟეს რესპუბლიკაში და მდინარე ვაალისაკენ დაიხიეს. შტეინმა ორანჟეს მთავარ-სამმართველო ლინდლეიში გადაიტანა. ამ ხაირათ, ინგლისელები მიადგნენ ტრანსვაალის საზღვარს. ბურები ვაალთან იერიან თავს და იქ აზირებენ მტერთან შებრძოლებას, — ნატალში ბულებს ჯარიც წინ მიდის, აქ ინგლისელთ აუღიათ ქ. დენდი და ბურები ჩრდილოეთით დაუწევიათ. მხოლოდ შეფეინგს არა ეშველა-რა. რობერტსის მიერ გავზავნილი ჯარი ჯერ არ მიდწეულა შეფეინგამდის. უკანასკნელი დეპეშა იუწყება, ვითომ შეფეინგი გაათავისუფლა ინგლისის ჯარმა.



მოულოდნელი შემთხვევა.

თფილისის ბანკის კრება

თფილისის სათ. აზნ. ბანკის წარმომადგენელთა წლივანდელი კრება შესანიშნავი შეიქნა თავისი კურიოზებით. ზოგი ამათვანი გასულ კვირას აღენიშნეთ, ზოგს ახლა აღენიშნავეთ. ამ კურიოზთა შო-

რის პირველი ალაგი უეჭველათ ბ. ნ. ზ. ცხველაძეს უჭირავს, რომელმაც ორშაბათის კრებაზე სამჯელ წარმოთქვა ერთი დიდი „რეჩი“. ბ. ცხველაძე მეტის-მეტი შესანიშნავი პირია და ნება მომეცით ის გაგაცნოთ. ბ. ცხველაძე, მიუხედავად თავისი ხნისა, ერთი

გატაცებული კაცია. თუ რამე გულში ჩაიდვა — იმას იქიდან „არას მამაოჩვენებით“ არ ამოიღებს, მიდის და მიჯის ამ ამოჩემებულ გზაზე. ამას იქით არავის ხედავს და არც სურს დაინახოს. რა გზაზე ადგია ან რა აფიქრებს მას — ერთი შეხედვითაც შეატყობთ. როცა ათას კაცში ერთს დაინახავთ, თავჩაღუნულს, დიდათ დაფიქრებულს, ნელა. მაგრამ მედგრათ მოსიარულეს — იცოდეთ რომ ის უთუოთ ცხვედაძეა. იმას ლაპარაკი არ უყვარს, მე საქმის კაცი ვარო — იტყვის ხოლმე ის. ეს ერთი ხანია სათავად-აზნაურო სკოლისთვის შენობას აშენებს, რაიცა, რასაკვირველია, ჯერ არ დაუწყია, მაგრამ იმედი აქვს ახლო მომავალში სახურავი გადაადგას. მეო, თქვა მან, 29 აპრილს სათ.-აზნ. სკოლის კომიტეტის წლიურ კრებაზე, ვაშენებ ისეთ სახლს, რომელიც ნახევარ მილიონათ ღირს, ხოლო მე კი 350 ათას მ. დამიჯდებაო. — რა ნაირათ ხერხდება ეს? შეეკითხენ აქეთ-იქიდან. — ეს მე ვიცო, უპასუხა ბ. ცხვედაძემ. — რამდენი გაქვთ ამ ჟამათ ფულიო, ჰკითხეს მას. — ამ ჟამათ სულ 35 ათასი მ. გვაქვს, გვაკლია 315 ათასი მ. მაგრამ იმედია ამასაც მალე ვიშოვითო. და თუ საძირკველი ჩავყარეთ, თუ პირველი სართული ამოვიყვანეთ, პირველს მეორე გადავადგით, მეორეს მესამე და ამას თუ „კრიშა“ დავადგით — მაშინ იმედი გვაქვს სახლი ავაშენოთო — გამოუცხადა გაკვირვებულ საზოგადოებას და ყველა ისეთ აღტაცებაში მოვედით, რომ კინალამ ხელით გამოვიტანეთ გარეთ ჩვენი იმედით სავსე ცხვედაძე. და ასე, აშენებს ის სკოლას, სკოლის გვერდით გადააქვს ჩვენი საზოგადო დაწესებულებები (წ. კ. საზოგადოება, დრამატ. საზოგადოება, თეატრი და სხ.), დაწესებულებებს თან აყოლებს ქალაქში მცხოვრებ ქართველობას, ერთი სიტყვით თფილისიდან უნდა გავიდეთ და ვერაზე დავსახლდეთ. როდის იქნება ეს საერთო გადასახლება — ჯერ არავინ უწყის, ვიცით მხოლოთ, რომ აღტქმული ქვეყანა ნაპოვნია; მოსე გამოჩენილია და ახლა მხოლოთ აყრა და გზაზე დაყენება გვაკლია. და აი ყველა ამას აკეთებს ერთათ ერთი კაცი, ერთათ ერთი ბ. ცხვედაძე. და რაღა გასაკვირველია ასეთი დიადი საქმის მეთაურს ბანკში სამი „რეჩი“ ეთქვა, ყოველივე საჭიროების წინააღმდეგ, თვინიერ ვერაზე გადასახლებისა. მან გადაჭრით აღიარა: ყველა ის წმინდა მოგება, რაც ბანკს რჩება, ჩვენ უნდა მოგვცეთო. არც „დრამატული საზოგადოება“, არც სხვა სკოლების დახმარება, არც ვინმეს შეწევა — არაფერი სხვას, ყველაფერი ჩვენო. როცა კითხვა ჩამოვარდა თფილისის ახალ საკომერციო სასწავლებელში ქართველებისათვის სტიპენდიები დავაარსოთო — ბ. ცხვედაძემ კინალამ მითეთქვა

მთელი კრება. რას მიქვია კომერცია, თეატრი, სკოლა, წიგნი... გვეჭირვება მხოლოთ სათავად-აზნ. სკოლა ვერაზე და მასთან ერთათ ახალი თფილისიო! მაგრამ ბ. ცხვედაძემ მთლათ ვერ გაიმარჯვა, ათასი მ. მაინც მისცეს ქართულ თეატრს, 300 მ. თელავის საქალებო სასწავლებელს ქართული ენის კათედრისათვის, ხოლო საკომერციო სასწავლებლის სტიპენდიების საქმე შედამხედველ კომიტეტს და გამგეობას მიანდევს. ამათ უნდა გამოძებნონ სტიპენდიების წყარო. ბ. ცხვედაძე კი კრების ბოლოს ძალიან გაჯავრდა, როგორ თუ ყველაფერი მე არ მომცესო, და დრამატული საზოგ. გამგეობის ერთ წევრს უსაყვედურა: თქვენ არ გქონდათ იმდენი მქადა-ქაბრავი გაბეჯულობა, რომ უარი გეთქვათ ათას მანეთზეო! აი, ასეთი გატაცებული კაცია ბ. ცხვედაძე!

არა ნაკლები გატაცებულია ბ. ა. ნატროშვილი, შვილი შევნიერი ქიზიყისა და აწ წმინდა საქმეებზე მზრუნავი. სადაც კი სადმე, ამ ჩვენ ქვეყანაში, ეკლესია შეძველდება, ბ. ნატროშვილს მაშინვე გაგებული აქვს და ბანკში შემოდის ახალი სმეტიო: ნუ დავივიწყებთ ღვთის საქმესო. ის როგორც კი ადგა სკამიდან, დარბაზში მაშინვე ფურჩული შეიქნა: უთუოთ ტაძარი დაძველებულა სადმეო, და ორატორმა კიდევაც დაიძახა: ალავერდის ტაძარიო... ნატროშვილი ღრმათ დარწმუნებულია იმაში, რასაც ამბობს და თუ ყურადღებით მოუსმინეთ (ვანსაკუთრებით სახის მიმოხვრსააც თუ თვალ-ყურს ადევნებთ) უეჭველათ იტყვით: ესეც ქვეყნის აშენებას შედგომიაო.

ერთი სიტყვით, ვინც რა საქმეს ემსახურება იმას აყენებს კრების წინ და გაიძახის: მე, მეო! მართალი გითხრათ, აღარც ამდენი „მეე“ გამოგონია. ერთს არავის წამოცდა შენო, თუნდა, მაგ. ქალთა მომავალი სკოლის სასარგებლოთ.

ამ „მეთა“ შორის თავი ისახელა ბ. ჩილავემა, დირექტორის თანამდებობის (პალ. ყიფიანის მაგიერ) დროებით აღმასრულებელმა. ის ისე იჯდა მთელ დღეს, რომ კრინტი არ დაუძრავს საბანკო საქმეებზე, ხოლო მეშვიდე დღეს, როცა კრების თავმჯდომარემ გამოაცხადა, დაასახელებთ კანდიდატი პალ. ყიფიანის ადგილზე დირექტორის ასარჩევათო, ეს სკამიდან წამოდგა, წულში გაიმართა და წარმოთქვა: ახლის არჩევა რას მიქვია, მე ვარ და კიდევაც ვიქნები ამ თანამდებობაზე ვადის გასვლამდეო!

„ურჩიოთა“ შორის ყურადღება მიიქცია ბ. ფერნაძემ. ამდენი ხანია ვკითხულობ და ვერ გამოგია რა მოხელეა ან რით არის „შესანიშნავი“ ბ. ფერნაძე?

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

ყოველ კრებაზე ამას ვხედავ, ყოველ „საინტელი-
გენტო“ სადილზე ის არის, ლიტერატორებთან
იმას შეხვედები, ბურჟუებთან შინა კაცია — ერთი სი-
ტყვიით „შესანიშნავი“ პირია, ხოლო რით და
როგორ, ეს კი დღემდის არავინ იცის და მგონია
ვერც ვერავინ გაიგებს. წლებადველ კრებაზე ის
იჯდა მეორე წყებაზე და სულ ერთთავათ
ჭაჭაჭადაც შეცქეროდა პირში... „რეჩი“ თქვა
მან მხოლოდ ერთხელ და ისიც ერთი სი-
ტყვიდან შედგებოდა. როცა თავმჯდომარემ გამოა-
ცხადა: ი. ჭავჭავაძესაც ყუთი უნდა დაუდგათო,
მაშინ წამოდგა ბ. ფერნაძე (და კიდევ ბ. ს. მელი-
ქიშვილი) და ისეთი რიხით დაიძახეს „ნЕЗН НА-
ЛОТИРОВКИ!“ — უკენჭოთო, რომ მთელი დარბაზი
შეინძრა. მაგრამ ნათქვამია, ტყის ქათამი როგორც
კი ხეზე შეჯდა, მაშინვე ბოლი მოუტყდაო.
ბ. ფერნაძემ ამ შვიდ დღეში ეს ერთი „რეჩი“ თქვა
და იმანაც ტყუილ-უბრალოთ ჩაუარა. წესდებაში
აღმოჩნდა, რომ ბ. ფერნაძესთვის ჯერ კიდევ არ
მიუჩიქებიათ ბანკის თავმჯდომარის ამორჩევის
უფლება და ამიტომ თ. ი. ჭავჭავაძესაც ყუთი და-
უდგეს (მიიღო 120 თეთრი და 30 შავი) ✓

კრება, წელსაც, როგორც ყოველთვის კენჭო-
ბით დასრულდა. და აი აქ დამტკიცდა გამგეობის
სისუსტე. გამგეობის პარტია ერთიანათ ჩაფლავდა
და გაიმარჯვა „ზემო ქართლის პარტიამ.“ ზედამხე
დველ კომიტეტში პირველათ გავიდენ „მაჩაბელის-
ტები“ (თ. გ. დიასამიძე, თ. ნ. ვეზირიშვილი) ხოლო
თ. ი. ჭავჭავაძის მიერ ერთხელ ბანკიდან დათხოვნი-
ლი თ. ფავლენიშვილი (რამაც დიდი ალია-
ქოთი გამოიწვია თავის დროზე) აირჩიეს დამფა-
სებლათ, ანტონ ფურცელაძე დირექტორათ,
წინააღმდეგ გამგეობის კანდიდატის თ. დ. გურამი-
შვილისა. საზოგადოთ, როგორც წელს გამოირკვა,
თანამდებობაზე ირჩევენ იმას, ვინც ნაკლებათ ან
სულ არ ლაპარაკობს. თ. გურამიშვილი დაამარცხა
მისმა „პსიხოლოგურმა რეჩმა“, თ. ნ. დ. ანდრო-
ნიკაშვილი ზედამხედველი კომიტეტის დაცვამ, ხო-
ლო ბ. ან. ფურცელაძემ გაიმარჯვა თავისი უთქმე-
ლობით, მას ამ რვა დღეს ერთი სიტყვაც არ წამო-
ცდენია კრებაზე, ყველას თავაზობდა, ტკბილათ
ცხურობოდა და სამაგიეროც გადაუხადეს... მოლა-
პარაკეთა შორის ერთი თ. ვ. მიქელაძე გავიდა
ზედამხედველ კომიტეტში და ისიც ძლივს...

ჭერბერც სპენსერი. 1)

დამიანის გონებრივი განვითარება შეიძლება ორ
დღე ხანათ გაიყოს. პირველი ხანა ისაა, როცა ადამიანს
წარმოდგენილი აქვს თავის-თავი მიზნათ და

1) უადგილობის გამო ეს წერილი წარსულ ნომერში
ვერ გამოვიდა.

ცენტრათ ყოველი ქმნილებისა. მისი აზრით ყველა
ფერი ადამიანის ბედნიერებისთვისაა გაჩენილი. მზის
მოვალეობაა დღით სინათლე მიაწოდოს, მთვარის —
ღამით. მცენარე და ცხოველი გაჩნდენ იმიტომ,
რომ მას საკვები მასალა ჰქონებოდა. ერთი სიტყვით,
ყველაფერი მისდა საბედნიეროთაა გაჩენილი. ის
ცენტრია, რომლის წინაშე ყველაფერი თავს
იხრის. ასეთ შეხედულებას ანტონოვსკი-სტრეზო-
ვიწოდა. მაგრამ ეს თანდათან ირღვევა და მის ადგილს
იჭერს მეორე, რომლის დედა-აზრი გამოითქმის ძვე-
ლი ჰერაკლიტეს სიტყვით: „ყველაფერი მიმდინარეობს
აქა“.

რასაკვირველია, ახალი მიმართულება ერთბა-
შათ არ შექმნილა. ჯერ კობერნიკმა დაარღვია
ანტონოვსკის ტრადიციული შეხედულება იმით, რომ და-
ამტკიცა მზე კი არ ბრუნავს მიწის გარშემო, მიწა
ბრუნავს მზის გარშემოვო. ამას მოჰყვა სხვა თეო-
რიები, რომელნიც იმუშავებდენ თითოეულ დარგს
ადამიანის გონებისა ახალი შეხედულების მიხედვით.
ხოლო ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან ყველა დარ-
გები იმდენათ შემუშავდენ, რომ შესაძლო შეიქნა
ამ ცოდნათა შეერთება და შექმნა ერთი სისტემისა,
რომელსაც საფუძველათ დაელო განვითარების თეო-
რია. ეს სრული მეთოდური დალაგება ევოლუციო-
ნური თეორიისა ეკუთვნის გამოჩენილ ინგლისელ
ფილოსოფოსს ჰერბერტ სპენსერს.

ევოლუციონური თეორია დამყარებულია სამ
კანონზე. პირველი კანონი გვიხატავს ფიზიკურ
ძალებს შორის არსებულ ურთიერთობას, ეს კანონი
ამბობს: ერთნაირი ძალა შეიძლება გარდიქმნეს
მეორე ნაირათ, მაგალითათ, სინათლე და სითბო
ელექტრონულ ძალათ, მოძრაობა — სითბოთ და სხ.
მეორე კანონია ძალთა მუდმივობა, ანუ მათი
მოუსპობლობა. ეს კანონი გვეუბნება: ნივთიერება
და მოძრაობა რა ფორმაც უნდა მიიღონ, რა
ნაირათაც შეიცვალონ, მაინც მოუსპობელიაო.
მესამე კანონი არის მეცნიერი პოლ-ბერის მიერ გა-
მოთქმული. ბერმა გამოიკვლია ჩანასახის განვითარება
და შემდეგი დასკვნა გამოიყვანა: ყოველი
ცოცხალი არსება თავის განვითარებაში თანდათან
შორდება გამოურკვეველ, ზოგად ფორმას და იძენს
გარკვეულ, თავის გვარის შესაფერ მოყვანილობას.
და ეს გამორკვევა იმდენათ ძლიერია, რამდენათაც
ის შორდება ემბრიონალურ მდგომარეობასო. ამ
ნაირათ განვითარება გამოიხატება გართულებაში,
განსაკურებული ნაწილების გამოყოფაში, რნდი-
ვიდუალიზაციაში. ბერი მარტო ცოცხალ არსებათა
განვითარებას შეეხო. და აი, სპენსერმა აიღო ეს
კანონი, და სცადა მისი შემწეობით აეხსნა ყოველ
გვარი განვითარება, როგორც აწა ორგანიზულ ისე
ორგანიზულ ბუნებაში.

საქართველო

სპენსერი ამბობს: სიმარტივიდან სირთულისაკენ მოძრაობა თანდათან დიფერენციაციის გზით (ესე იგი გამოჩენა განსხვავებათა იქ, სადაც პირველი შეხედვით ერთი ნივთიერებაა) უკვე დაეტყუა სამყაროს დასაბამიდანვე.

დედამიწის ისტორიის შესწავლა ჩვენ გვიჩვენებს, რომ თავდაპირველათ ის წარმოადგენდა ერთ გადადულდებულ სხეულს, სადაც ყოველი ნივთიერება სიციხით გამდნარი იყო. ამ გვარ მდგომარეობიდან ის ნელ-ნელა გამოდის, თანდათან ჰკარგავს თავის შინაგან სითბოს, ეფარება მავარი კანი და მაგრდება. ყოველი მცენარე თავის ზრდაში თავს უყრის საკვებ ნივთიერებათ, რომელნიც აქამდის იყვენ გაფანტულ ჰაერისებურ მდგომარეობაში. ყოველი ცხოველიც ვითარდება იმით, რომ უყრის თავს იმ ნივთიერებათ, რომელნიც უწინ უფრო დაფანტული იყვენ მცენარეებში, ჰაერში და სხვა ცხოველებში. ამ გარდაქმნაში სხვა-და-სხვაობა თანდა-თან იზრდება. უბრალო უჯრა ჩანასახისა თანდა-თან იზრდება და იქცევა მთელ ორგანიზმათ, რომელსაც აქვს რთული აგებულობა და ბევრი სხვა-და-სხვანაირი ორგანო. პალეონტოლოგია გვიმტკიცებს, რომ დღევანდელი სამეფო ცხოველთა და მცენარეთა გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და რთულია, ვიდრე პირველ ყოფილი ცხოველობა და მცენარეულობა. კაცობრიობის განვითარებაც იმავე გზით მიდის. თავდაპირველათ კაცობრიობაც ერთგვარობას წარმოადგენდა. მარა თანდა-თან ის ნაწილდება სხვა-და-სხვა რასებათ, რომელნიც თავის მხრივ ნაწილდებიან სხვა-და-სხვა ერებათ. თვით ყოველივე ერშიც ფხვს იდგამს დანაწილება და გართულება. იგივე ითქმის ადამიანის ყოველ-გვარ გონებრივ მოქმედებაზე. საერთო ბუნებრივი მარტივი ენა თანდა-თან რთულდება, ნაწილდება სხვა-და-სხვა ენებათ, რომელშიც თითოეული მათგანი იძენს მკაფიოთ გამოხატულ თავისებურებას. იგივე ითქმის მეცნიერებაზე, ხელოვნებაზე და სხვა. განიხილეთ საზოგადოების განვითარება პოლიტიკურათ, ეკონომიურათ, სარწმუნოების მხრივ-ამავე მოვლენას შენიშნავთ... ამ ნაირათ დასაბამიდან დაწყებული დღევანდლამდის ევოლუცია გამოიხატება ერთსა ზე იმავე მოვლენაში; ეს მოვლენაა გარდაქმნა ერთგვარობისა სხვა-და-სხვა გვარობათ, მარა ეს გარდაქმნა უბრალო კი არაა. ერთგვარობას თან დაჰყვება გამოუტრეკველობა და შეუთანხმელობა. ხოლო პროგრესიული ცვალებადობა ამ გამოუტრეკველ და შეუთანხმებელ ერთგვარობას შეცვლის იმ ნაირათ, რომ მივიღებთ გამორკვეულ, ურთიერთზე დამოკიდებულ სხვა-და-სხვაობას. ავხსნათ მაგალითით.

აიღეთ რომელიმე მარტივი ცხოველი. ამ ცხოველის ნაწილებს თქვენ ვერ შეატყობთ ვერავითარ დანაწილებას შრომისას. აქ ყოველი ნაწილი მზათაა აასრულოს სხეულის ყველა მოთხოვნილება. კიდევ იკვებება, კიდევ სუნთქავს, კიდევ მრავლდება. დაქრით ასეთ სხეულს ნაწილ-ნაწილათ—ყოველი ნაწილი განაგრძნობს სიცოცხლეს და აღადგენს მოშორებულ ნაწილებს. აქ ერთგვარობა და გამოუტრეკველობაა. აიწიეთ განვითარების ზედა საფეხურზე, სულ სხვას დაინახავთ. აქ ცხოველს უკვე გასჩენია ცალ-ცალკე ნაწილები და თვითოეული ამ ნაწილებთაგანი განსაკუთრებით მოვალეობას ასრულებს. მაშ აქ მომხდარა შრომის დანაწილება სხეულის ასოვებთა შორის, ანუ დიფერენციაცია. მარა ეს კი არ ნიშნავს ნაწილების ერთმანეთისაგან დამორებას. პირიქით, რამდენათ იმათ განსაზღვრული აქვთ თავისი საქმე, იმდენათ მათი ურთიერთი კავშირი ძლიერია. პირველ მაგალითში ერთი ნაწილის მოშორება სხვა ნაწილებს არაფერს ავნებს, აქ კი ერთი ორგანოს ზიანი ყველა ორგანოს დასაკლავია და ხშირათ მთელი სხეულის მოსპობასაც იწვევს. ამ ნაირათ რამდენათ სხეულში ძლიერია დიფერენციაცია, იმდენათვე ძლიერია მისი ნაწილების ერთობა, კავშირი, ანუ ინტეგრაცია.

სანამ დარვინის წიგნი გამოვიდოდა, სპენსერი ასეთ მოძრაობას ეძახდა ბუნებრივ მსვლელობას. მარა როცა დარვინმა გამოაქვეყნა თავისი შრომა, სპენსერმაც მიიღო მისი ტერმინები. ის ძირითადი მიზეზი, რომელიც იწვევს გართულებას ბუნებაში, ანდივიდუალიზაციას, არის შეგუების ძალა. ორგანიზმები ბუნებაში ერთმანეთზე დამოკიდებული არიან. ზოგი ორგანიზმი მეორე ორგანიზმს ჭამს, სიცოცხლეს უსპობს, ზოგიერთნიც ერთი და იმავე საკვები მასალით საზრდოობენ და ერთსა და იმავე საარსებო პირობებში საჭიროებენ. ამიტომ მათში იბადება ცილობა, ბრძოლა არსებობისათვის. ამ ბრძოლაში ბევრი იჩაგრება, იხოცება, ხოლო რჩება ის, რომელიც უფრო შეგუებია, შეწყობია საარსებო პირობებს. მაშ აქ ხდება ბუნებრივი ამორჩევა, შეგუებულთა ანუ ძლიერთა გამარჯვება. დარვინი ამბობს: ბუნებრივი შერჩევა იწვევს ცხოველში ტიპის გაუმჯობესებას, გართულებას, მისი ფიზიკური ღირსებების განვითარებასო. სპენსერმა ეს დარვინის ბუნებრივი შერჩევის თეორია გადაიტანა ადამიანთა საზოგადოებაშიაც და გამოაცხადა: ასეთივე შერჩევა ადამიანზედაც კარგ კვალს ტოვებსო. ბრძოლა ადამიანთა შორის უძლიურთ სპობს, ამით ამცირებს მათ ტანჯვას და ხელს უშლის ამ უძლიურობის შემკვიდრებით გადაცემას, მის გამრავლებას, ესე იგი ბოროტების გაძლიერებასო. სახელმწიფო

რომ ჩაერიოს ამ ბუნებრივ მსვლელობაში და მონდომოს სუსტთა დახმარება, მათ სასარგებლოთ მოქმედება, ეს კი არ შეამცირებს ბოროტებას, პირიქით გააძლიერებსო. სპენსერი სოციოლოგიაში და პოლიტიკაში თავიდანვე უკიდურესი ინდივიდუალისტი იყო და ძველებური ბურჟუაზიის იდეოლოგია. მარა პირველ მის ნაწერებში აქა-იქ სხვა ნაირი აზრიც შეგხვდებოდათ. მაგალითათ, ის ამბობდა: მიწის კერძო მფლობელობა საზოგადოებრივი განვითარების შემაფერხებელი ხერხთაგანი არისო. საჭიროა, მიწა ჩამოერთვას კერძო პატრონებს და საზოგადოების საკუთრებათ იყოსო. მარა შემდეგ სულ სხვა აზრებს დაადგა. უკანასკნელ პოლიტიკურ თხზულებაში ის წინააღმდეგია ყოველგვარი საერთო მფლობელობისა. ის წინააღმდეგია თვით საზოგადო აღზრდისაც. ასეთი ინდივიდუალიზმის მქადაგებელია სპენსერი.

თავის საზოგადოებრივ შეხედულებებს ის ამართლებს იმით, რომ პოულობს მზგავსებას, ანალოგიას სხეულის და საზოგადოების განვითარებათა შორის. ერთი მხრით დაყენებული ჰყავს ორგანიზმი, რომელსაც თავისი ნაწილებისათვის დაურიგებია შრომა. მეორე მხრით საზოგადოება, რომელშიაც ცხადია ეს შრომის დანაწილება. არკვევს რა ამ მზგავსებას, ასე მსჯელობს: „საზოგადოებრივ განვითარებაში ხდება იმგვარივე შეერთება მზგავსი ნაწილებისა და გამოშორება არა მზგავსისა, იმ გვარივე გაძლიერება შრომის დანაწილებისა, როგორც ბუნებრივ ორგანიზმში. პირველ დამწყებელი საზოგადოება შედგება თითქმის სრულიად ერთგვარი ელემენტებისაგან. ამ საზოგადოებაში ყოველი წევრი ერთ და იმავე დროს მხედარიცაა, მონადირეც, ხუროც, მეთევზე, მიწის მუშა და ხელოსანი. თემის ეს თუ ის ჯგუფი იმავე საქმეებს ეწევა, რა საქმესაც აკეთებს მეორე.. ამ პირველ საფეხურს თან მოსდევს მეორე, რომელიც იმით განსხვავდება, რომ აქ საზოგადოება ნაწილდება რამდენსამე ჯგუფათ თავის საქმის მიხედვით. აქ არის მხედარი, ქურუმი და მონა. რამდენსაც გავყვებით ისტორიას, იმდენათ ეს სპეციალიზაცია იზრდება. აქ საყურადღებოა ერთი მოვლენა. როგორც ფრიად განვითარებულ ორგანიზმებში ყოველი ნაწილი მჭიდროთაა შეკავშირებული სხვა ნაწილებთან, ისეც განვითარებულ საზოგადოებაში. რამდენათ საზოგადოება იზრდება, რამდენათ მის ნაწილთა შორის ძლიერდება შრომის დაყოფა, იმდენათ ეს ნაწილები უფრო კავშირდებიან. აქ არ შეიძლება ერთ რომელსამე ნაწილს შევხვით ისე, რომ მთელმა საზოგადოებრივმა ორგანიზმმა არ იგრძნოს. მაშასადამე ნიშნობლივი თვისება განვითარებისა არის დანაწილება და იმავე დროს დაკავშირება, ერთობა.

შრომის განაწილება ხდება მთელ კაცობრიობაშიაც. აქაც ერთი ერთი საქმეს ჰკიდებს ხელს, მეორე მეორეს, ერთ ადგილს უფრო ხერხდება ერთი წარმოება, მეორეს—მეორე და სხ.

ანალოგია საზოგადოებას და ორგანიზმს შორის ახალი როდია. უკვე პლატონმა თქვა: სახელმწიფო — ორგანიზმიანო. ამის მიხედვით კიდევ დაასკვნა, რომ როგორც კუჭი ასაზრდოებს თავს — გონების სალაროს, ისე მონები უნდა ასაზრდოებდნენ მმართველებსო, მონობა აუცილებელი მოვლენა არისო. სპენსერიც ბევრ უკიდურეს შეცდომებში ჩავარდა ასეთი ანალოგიის გამო. მაგალითათ მას თავისი აზრით დღეს არსებული სოციალური უსწორ-მასწორობა აუცალბებელ საფუძველათ მიაჩნია ყოველი განვითარებისა. მის თვალში ეს უსწორ-მასწორობა ყოველთვის ასე უნდა იყოს, ამის მოსპობა და თანასწორობის ჩამოგდება მისი აზრით „მონობაა“.

მიუხედავათ ამისა იშვიათია ისეთი ფილოსოფიური სისტემა, რომელსაც თავი მოეყაროს ამდენი ცოდნისა და დაკვირვებისათვის, როგორც ეს სპენსერს აქვს. ამიტომაცაა, რომ სპენსერი ასეთი დიდი აზრისაა მეცნიერებაზე და კიდევ იბრძვის მისთვის. აი როგორ ახასიათებს მეცნიერების ძლიერებას: „მეცნიერებით აღჭურვილი ადამიანი წავიდა წინ ვეღურების ისარიდან ვეებერთელა ზარბაზნებამდის, ხის ამოჩიგნილი ნავიდან ტრანს-ატლანტიის ხომალდებამდის, პერგამენტზე დახატულ ანბანებიდან ისეთ გაზეთებამდის, რომელნიც იბეჭდებიან 20,000 ეგზემპლიარათ საათში. მაშ სრულიად მეტია იმის მტკიცება, რომ მეცნიერება მეფობს. იმ დროს, როცა დღითი-დღე ცრუმორწმუნოების სახელით, ავტორიტეტი ეცემა, მეცნიერების ავტორიტეტი დღითი-დღე მატულობს“. რა თქმა უნდა, ამ მეცნიერების სახელის გაღივებაში ჰერბერტ სპენსერს დიდი ღვაწლი მიუძღვის.

3—ე

მ უ მ ი ს ს ი მ ლ ე რ ა

(პასუხათ „ივერიელს“)

ჰ ვენ „ლეკები“, თქვენ კრავები, რადა გინდათ?.. იაშაუეთ, რამ ბრძოლაში გამარჯვდით, მკვლარი მრწამთ მოიყვანეთ.

ეველას გინობით, ვინც ბრძანდებით,
 თქვენი ახლა არა გვეყრას;
 „თეთრი კბილი, შავი გული“.
 სულ ეს არის თქვენი მღერა.

სწუხართ ჩვენთვის, ვით ძმა-ძმისთვის!
 მაგრამ ამით ფიქს ვერ განხვალთ,
 გაგიგვით ეველასფერი,
 თქვენ ღოცვასაც წვევათ ვსახვით!

შორს ჩვენგანა „ჩაიარეთ“,
 საბატონოთ გვეგვლისებით,
 ჩვენი ტყავის ფეხსაცმლითა
 სვირნობთ და მღერით, ტბებით...

ჩვენ საქმეს და ჩვენ ცხოვრებას
 ჩვენ მოგუგლით, ნუ სწუხთ თქვენა,
 უფრო ბამბები მოიცალეთ,
 რომ მოგვეკეთ კარგათ სმენა.

ჩვენ „ლეკები“, თქვენ კრავები
 რაღა გინდათ? იამაყეთ,
 ამას იქით ნუ გასცდებით,
 ისიზრმეთ და ინტერეთ...

3 მაისი, 1900. დ. ნინოწმინდელი.

წერილები ჩეხეთის მიმართ

I.

ქ-ნო რედაქტორო! ¹⁾

შორნილესათ გთხოვთ თქვენ ზატვიცემულ გაზეთ
 „კვალში“ დაუთმეთ ადგილი ამ მცირე შენიშვნას. რო-
 დესაც ბ-ნი „ახალმოსული“ დაგვზიზრდა: დამაცადეთ და მე
 თქვენ გინგებთ თუ რა „წითელი კოჭი“ ეოფილა „ძა-
 ლათ მარქსისტი“ ნოე ჟორდანიას, მე თქვენ ცხდათ
 დაგანახვებთ მის „უმეცრებას“, „ქარაფშუტობას“, „ო-
 რთავიანობას“, „ორზიზრებას“, „ორგვარობას“ და სხვ...
 ჩვენ მოველოდით, რომ ბატონი „ახალმოსული“ მარ-
 თლაც მოიყვანდა რაიმე საბუთს თავის „ქაღალის“ და-

1) როგორც არა ერთხელ ვთქვით, ახალმოსულის წინა-
 აღმდგომი წერილები ჩვენ ერთობ ბევრი მოგვდის. ყველა მათი
 დაბეჭდვა, რასაკვირველია, შეუძლებელია. ჩვენ ვარჩევთ მხო-
 ლოთ მოკლე და კოლექტიურ წერილებს. სხვების დაბეჭდვა
 მთელ გაზეთს მოინდომებს. მხოლოდ ვისაც ეს აინტერესებს—
 შეუძლია მობრძანდეს და გაუზიჯოს. რედ.

სამტიციებლათ. გულმოდგინეთ ვადევნებდით თქვენთვის
 მთელ ზოღემიას, ძალიან ვუკვირდებოდით „ახალმოსუ-
 ლის“ მსჯელობას, მაგრამ მთელ მის ნაწერებში კარდა
 თვით ავტორის „ქარაფშუტობისა“, „უმეცრებისა“, „ო-
 რთავიანობისა“, „ორთავიანობისა“, „საზიზრადი ლანძღვა-
 გინებისა და ლიტერატურული უწესობისა ჩვენ ვერაფერი
 ვერ დავინახეთ. ბატონ „ახალმოსულს“ რომ არ მოსუ-
 ლიყო ის ერნია, ხმა რომ არ ამოეღო ისა ჯობდა, რო-
 გორც მისთვის, ისე „ივერიისთვისაც“. მან მოუღო
 ბოლო თავის თავს და შოუსწრაფა დღე ისეც დღე-
 მოსწრაფებულ „ივერიას“. ჩვენ აქ არ შეუდგებით
 „ახალმოსულის“ უაზრო და უსაქციელო საზიზრადი
 ლანძღვა-გინებით სავსე ნაწერების კარჩევას, რადგანაც ეს
 მიგვაჩნია სამარცხვინოთ და უსაფუძვლო დროს დაკარ-
 გვით... და გვიკვირს რატომ ბატონი ჟორდანიას ვერ მი-
 ვიდა ამ დასვენამდის! მეტათ ვწუხვარ, რომ ბატონი
 ჟორდანიას ჭკარავს ძვირფას დროს და უურადღებს საქვეს
 „ახალმოსულის“ ავლანრული გინებით შემეულ უაზრო
 როტვას.

ხარკვი 29 აპრ. სტულ. კ. ი. ჯაფარიძე

II.

დიდათ ზატვიცემულ ქ-ნო რედაქტორო! უმორნი-
 ლესათ გთხოვთ შემდეგი ზროტესტი გამოუცხადოთ ბ.
 ნოე ჟორდანიას ჩვენ ქვემოთე ამასე ხელის მომწერთ
 ს. ჭიათურაში მყოფ ზატვას ჯგუფის მაგიერ: ეს ერთი
 ხანია რაც ვიდაც „ახალმოსული“ გამოსულა და
 გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე თავის ლანძღვა-გინებით
 ვითომ ზოღემიას უწევს ბ. ნოე ჟორდანიას. ჩვენ სრუ-
 ლებით არ გვიკვირს ახალმოსულის ამხანაგი საქციელი,
 ჩვენ მაგისთანა ლანძღვა-გინება მხოლოდ თთვილი-
 სის ახანობთან გაგვიგონია, სხვაგან ამგვარი არა-
 ფერი არსად არ გვსმენია.—დახ, ჩვენ ესენი
 არ გვიკვირს, ჩვენ გვიკვირს და გვწინს, რომ ბ. ნოე
 ჟორდანიას ამისთანაებთან კადრულობს ბასს, განა ეს
 შეჭთერის ბ. ჟორდანიას? ან მიეტყვევა მას ამისთანა
 საქციელი?

ბ. ჟორდანიას აქვს, რა საკვირველია, შეგნებული
 თავისი მიმართულება და მასთან სხვებსაც ბევრს ესმის
 ეს: მის ზირდაზირ მოვალეობათ მიგვაჩნია ჩვენ, რომ
 მან, როგორც აქამდის, განაგრძოს თავისი აზრებით და
 იდეებით იმ ტაძრის მიმართულების ქადაგება, რომელსაც
 ის ემსახურება. დეე „ახალმოსულმა“, რამდენიც უნდა
 ილანძღოს მწერლობასთან რა აქვს მას საერთო?!

ერთი სიტყვით ჩვენ ვთხოვლობთ, რომ ბ. ნოე
 ჟორდანიამ თავი დაანებოს კინტობთან კამათს და გა-
 ნაგრძოს ანდრინდელათ თავისი წმინდა საქმე, ეველამ
 იცის, ვინ არის „ახალმოსული“ და ვინ ნოე ჟორდანიას.
 წინააღმდეგ შემთხვევაში ვთხოვლობთ აგრეთვე, რომ ან

„კვალში“ თანამშრომლობას დასწავლეს თავი, ან დაიხუტე-
ლებული ვიქნებით კ.ზ. „კვალის“ კითხვას თავი დაუ-
ნებოთ.

გ. ბერიძე, ივ. ჯანელია, მ. კალანდოძე, ნ. ჩიჩუა,
კ. კიკიანი, რ. ჩინლაძე, დარ. მარაქველიძე, ილ. კ-
კაბაძე, კარაქე მოღებაძე.

კითხურა 25 აპრილი.

III.

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ ცხვრთ თქვენის
ზატყვემული გაზეთი „კვალის“ საშუალებით უკმაყოფი-
ლოება და საუკუდური გამოუცხადლო ბ. ახლმოსულს,
ამ ვითომდა ნ. ჟორდანიას მოკამათე-მომხრდაზირეს, რ-
მელსაც დავიწყებია ლიტერატურული კითხვა, ზოლომიკის
წეს-რიგი და ასე აბუჩათ აუგდია მკითხველი.

ბ. ახლმოსულის დასაძვ-გინება მით უფრო დიდ
შეურაცხოვას გვაყენებს ჩვენ და მამასადაძე მით უფრო
გასაკვირველია ჩვენგნით, რომ ის როგორც მისმა ვი-
თომდა-ზოლომიკამ ნ. ჟორდანიასთან ნათლათ დაგვანახვა
ფაქტების და აზრების გადაძახინჯებაზე, ცილის-წამებაზე
და ციტატების უსწორ-მასწოროთ მოყვანაზე ყოფილა
აშენებული. ჩანს, რომ მას გაზეთის დანიშნულება,
მისი მიზანი, მკითხველის ინტერესები უკუ უბღია
და „ივერია“ თავისი ზირადული ბოღმის გამომსატყველოთ
გადუქტევა.

ჩვენ, როგორც მკითხველნი, სამართლიანათ
ვითხოვთ ამ უმართებულო საქციელის შეწვე-
ტას ბ. ახლმოსულის მხრივ, რადგანაც გაზეთის წმინ-
და დანიშნულებაა სიმართლის და ჭეშმარიტების გამორ-
კვევა მკითხველთათვის და არა მათთვის დასაძვ-გინე-
ბის მივიღვა და ამით მათი შეურაცხოვა.

ამის ზირი „ივერიის“ რედაქციას გავუგზავნეთ.

ხელს აწერს 47 მკითხველი.

თფილისი 1 მაისი.

რედ.

IV.

ქ-ნო რედაქტორო! ცხვრთ ადგილი მისცეთ ამ
წერილს „კვალის“ ახლო ნომერში. ჩვენი ზატყვე
ბაქთელ ქართულ მკითხველებისა, მოთმინებიდან გამო-
სული ვართ იმ უხეირო, ყოველ ზოლომიკის ხასიათ მო-
კლებულის და უხეირო წერილებით, რომლებიც „ივერია-
ში“ იბეჭდება ბ. ახლმოსულის სახელით.

საკმარისია კაცმა წაიკითხოს სათაური იმ წერილე-
ბისა და ნათლათ დაინახვას, რომ ბ. ახლმოსულს სურს
კერძოთ ბ. ნ. ჟორდანიას გაღანდღოს და არა ზოლომიკის
საგანს შეეხოს. ეს მას არ აინტერესებს, ან და უფრო
უღანოთ გრძობს თავს, რომ ჟორდანიას წინააღმდეგობა
გაუწიოს ბ. ნ. ჟორდანიას, და მოჭედილია სამარცხვინო
და საზოგადო ცილის წამებას და დასაძვ-გინებას. (ამ
მხრით ვი, მკონი, ბადალი არ უნდა ჭევადეს ბ. ახლ-
მოსულს. საზოგადოთ „ივერია“ მდიდარია ამ ხირი
ზირებით, რომელთაც ზოლომიკის იარაღათ დასაძვ-გინე-

ბა აუღიათ) — ეს უკანასკნელი საშუალებაა დასაძვ-გინების
ლისა.

ნუ თუ ჭკონია ბ. ახლმოსულს რომ ამით მიზანს აღ-
წევს. უნდა იცოდენ ბ. ახლმოსულმა და მისმა მომხრე-
ებმა, რომ ის დრო გაფრინდა, როდესაც ერთი კალმის
მოსმით მიწასთან გასწორებდენ, ვისაც ვი თვალში ამ-
იხებდენ, რაც უნდა მართალი ყოფილიყო ის. „ივე-
რია“ ხომ ბუკრი ამხირი მაგალითების მატარებელია.

ახლა სულ სხვაა... ზოლომიკიელი მკითხველიც ვი
გამოთხინებდა. ის მწერალს აფასებს მისი მოქმედებისა
და ნაწერების მიხედვით და მის ზოლომიკისადაც ზატყვეს
სტუმს იმდენათ, რამდენათაც ის ხსნის ჩვენ თანამედრო-
ვე ცხოვრებას და მის ვითარებას.

ბ. ახლმოსულმა თავის ზოლომიკით, კარდა იმისა
რომ ზიზღი დამისახურა უკვლა შეგნებული ქართული
მკითხველის თვალში, ამკარათ ჭეო ჩვენი ბრწინვალე
და ამუი ინტელიგენციის უღანობა, რომელიც დუმს
და კმაყოფილებას თავისი ბელადის ისეთი დასაძვ-გინ-
ებით¹). „ივერია“ ხომ, მთელი თავის სიმშვენიერით
ახლა მაინც გამოიჭიმა ჩვენი ხაღხის წინ.

აბელ ენუქიძე, ს. გველესიანი, დ. ბაქრაძე, ა. ობე-
როვი, ი. წიკლაური, მ. ა. მაჩაბელი, დ. პ. წერეთელი,
ე. გიორგობიანი, პ. ქარსანაძე.

ქ. ბაქო.

ბაქოს ქართული სამკითხველო


მაისის სამში ორი წელიწადი კადის ბაქოში ქართუ-
ლი სამკითხველო დაარსებულან. რამდენათ შეგნებული
და საჭირო იყო მისი დაარსება ნათლათ დაამტკიცა ამ
სამკითხველოს ორი წლის არსებობის ისტორიამ. თუმცა
სამკითხველო უფ. მკერვალიშვილმა დაარსა, მაგრამ ზრუნ-
ვა სამკითხველოზე, თვით მკერვალიშვილზე უფრო, რე-
ულმა ქართველ ინტელიგენციამ იკისრა და ზრუნვა ამ
უკანასკნელთა იქამდის მივიდა, რომ სამკითხველომ კინ-
დამ სული დაღია. მაგ. წარსული წლის დეკემბერში კრე-
ბამ სამკითხველოს დახურვა გადაწყვიტა. საბედნიეროთ
სამკითხველომ ინტელიგენტთა განახენს გვერდი შეურა
და დღეს ის არსებობს, მხოლოთ ამ არსებობას ესაჭი-
როება საფუძვლიანი ნიადაგი. ვერ შეიძლო სამკითხველოს
შენახვა უ. მკერვალიშვილმა და არ ძალუძს ეს არც თ.
ფანახეს; სამკითხველოს საჭიროება ვი უკვლეოა. ამის
გამო ბაქოელ-ქართველთა შორის აზრი ტრიალებს რომ
ისინი ჩაეწერნ წევრათ ქართველთა-შორის წერა-კითხვის
გამაგრებლებელ საზოგადოებისა იმ ზირებით, რომ ამ
საზოგადოებამ სამკითხველო იქნინოს ბაქოში. საზოგ-

1) სრულებით არ დუმს, ახლმოსულს ექომაგებობან ბ.
კატა აბაშიძე, „ივერიაში“ (№ 95) და ბ. ლალი „მოამ-
ბეში“ № 3.



დოქტორ ანას იზარალებს და ბაქოელი ქართველი ქართუ-
ლი წიგნის წაკითხვას არ იქნება მოკლებული. ამასთანავე
უნდა დაბეჯითებით ითქვას რომ წერა-კითხვის საზოგადო-
ებების წევრათ ჩაწერის მსურველი ბაქოში ორასამდის
იქნება, რომელთა შორის ისეთი ზირნიც არიან, რომელ-
ნიც ხუთი-და-ექვსი მანეთის კი არა ხუთ-ექვსი თუმანსაც
გაიღებენ, წელიწადში. მაგ. როგორც უ. ბოსტოგანოვი.
იმედია ბაქოელი ქართველები და ქართველთა შორის
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არ მოუს-
ნობენ სიცოცხლეს ბაქოს ქართულ სამკითხველს. 1)


ქ. ბაქო, 15 აპრილი. სერაპიონ ჭავჭავაძე.



სააბრეშუმო სადგურის საყურადღებოთ.

დღეს ჩვენში უაღველი ჩარჩ-ბაცაცა, მიკიტანი თუ
მეწვრილმანე, აბრეშუმის თესლის ვაჭრებთან გამხდარან.
ბ-ნმა ი. ქუთათელიძემ გვაცნობა „ივერიის“ შემწეობით
თუ როგორი გარჩევა აქვს გარედან უბებინო თესლის
კოლოფს. შეიძლება თესლი სააბრეშუმო სადგურის შემო-
წმენილი და მისგან კარგათაც ცნობილი იყოს, მოვლაც
შესაფერხი ჰქონდეს, მაგრამ სრულიად წახდეს. (ასეთი
მაგალითი ბევრჯერ მინახავს). ამის მიზეზი არის გრე-
ნის ცუდად შენახვა, სააბრეშუმო სადგურისაგან შემოწმე-
ბის შემდეგ თვით შეაბრეშუმის ხელში მისვლამდე. აბა
საიდან უნდა იცოდეს ვიღაც მიკიტანმა ან მეწვრილმანემ
გრენის რიგინათ შენახვა, იმან იყიდა და ჭყიდის, იმ
მიზნით, რომ ფული ბევრი მოიგოს, მოიტანს თესლს
და დაჭერის კოლოფებს ძლიერ ცხელ ან ნოტიო ალაგას,
ან და შეურევს თამბაქოში ან სხვა რამე თესლისათვის
მავნებელ ნივთიერებაში; გააფხრებს თესლს და შემდეგ ამ
გაფხრებულ გრენს აჩეხებს ხელში საბადაო სოფლებს
უშეგინიერეს გრენათ. სოფლები კი, რომელიც მისგან
გამოქლის შექვას, რჩება ზირში ჩადა გამოვლებული. აი
ასეთ მდგომარეობაში ვართ დღეს სოფლები. 90%
გრენის გამოიდევლათ ასეთი უცოდინარი ჩარჩ-ბაცაცები
არიან. ჩემი აზრით ძლიერ კარგი იქნება რომ ასეთ
ვაჭრებთან თესლის გაყიდვის ნება არ ჰქონდეთ, ან
სააბრეშუმო სადგური იქონიებდეს საწვობებს, რომ მისმა
კაცებმა ჭყიდონ ან და სოფლის მღვდლებმა და მასწავ-
ლებლებმა და სხვა შეგნებულ ზირებმა იკისროს გრე-
ნის ვიდვა-გაყიდვა. ესენი უკეთესათ შესარულებენ ამ
საქმეს და მით სოფლებს დიდ შემწეობას აღმოგვი-
ჩვენენ.

გურია. ბ. გ. ჩხიკვიშვილი.



საქველ-მოქმედი საქმე.

I.

ქნო რედაქტორო! ოდესღამე სტუდენტებმა გამომიგ-
ზავენეს 20 მ. რომ განსვენებული გიორგი წერეთლის კუბო
გვირგვინით შემემყო ოდესელ სტუდენტების სახელით. რადგან
იმ დროს გზა შეიკრა და ტელეგრაფმა ამის თაობაზე გვიან
მივიღე (დასაფლავება იყო 16 იანვარს და მე სწორეთ 16
იანვარს საღამოს მივიღე ტელეგრაფმა), ამიტომ გვირგვინი ვე-
ლარ მოვასწარ. გიგზავნით თქვენ 20 მანეთს და გთხოვთ გან-
სვენებულის სახელზე გაუგზავნოთ ოთხ ღარიბ სკოლას ჟურ-
ნალი „ჯეჯილი“.

სტუდენტი ივ. ჯავახიშვილი.

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო 20 მანეთი სტ. ჯავა-
ხიშვილისაგან და უგზავნის „ჯეჯილს“ შემდეგ სკოლებს:
თიონეთში ბარისახოს სკოლას; ქ. ახალქალაქში—ქილდის
სასოფლო სკოლას; ცაგერში—იფარის სკოლას და ოჩმჩირე-
ში—მოქვის სკოლას.

II.

ქნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ
გაზეთ „კვალის“ საშუალებით გამოვუცხადო უღრმესი მად-
ლობა ჩემსა და ჩემი შეგირდების მხრივ დაბა დილიჩნის ქარ-
თველობას, რომელნიც ეს მეორე წელია გვიწერენ თავის
ხარჯით საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილს“.

ბ. ანავის სამრევ. სკოლის მასწავლებ. ქეთო ზარაფიშვილი.

III.


ქნო რედაქტორო! უმოჩილესათ გთხოვთ ნება მიბო-
ძოთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით, უღრმესი
მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს
თავიანთ წვლილი საყმაწვილო ჟურ. „ჯეჯილის“ დასაკვე-
თათ სობოროს და ოქონის სამრევლო-საეკლესიო სკოლების-
თვის. სია შემომწირველთა: სონა ზანგურაძემ 1 მან., ვერუ-
სა წერეთელმა 1 მან., თეკლე ნადირაძისამ 1 მან., მარია
ფაველიშვილმა 50 კაპ., ნინა ცერცვაძემ 50 კაპ., ლიზა
მელიქოვმა 1 მან., დარია ოთარაძისამ 1 მან., ქეთევან გა-
რაყანიძემ 50 კაპ., ეკატერინე ჩარკვიანმა 50 კაპ., ი. ჩაჩა-
ნიძემ 1 მან., ვ. მელაძემ 1 მან., ნ. ქერქვაშვილმა 50 კაპ.,
ნატო ყორბესაშვილმა 80 კაპ. სულ ათი მანეთი და 30 კაპ..

ნატალია ყორბესაშვილი.

IV.

ქნო რედაქტორო! უმოჩილესათ გთხოვთ, თქვენი პა-
ტივცემული გაზეთი „კვალის“ საშუალებით უგულითადესი
მადლობა გამოვუცხადოთ, როგორც ჩვენგან, აგრეთვე ჯუმა-
თის სკოლის პატარა მოწაფეების მხრითაც ბ. ესტატე ნიკო-
ლოზის ძეს ჩხარტიშვილს, რომელმაც ჯუმათის სასოფლო
სკოლას გამოუწერა ამ 1900 წლის გაზეთი „კვალი“ და სა-
ყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“.

ჯუმათის სოფ. სკოლის მასწავ. ვ. ბიბილიევილი.
ამავე სოფლის მამასახლისი ა. მითაიშვილი.
მზრუნველი ს. ჩხარტიშვილი.



რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა-

1) ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ადგილობრივი საქმეები
ადგილობრივი ძალ-ღონით უნდა იქმნას წაყვანილი. წ. კ. სა-
ზოგადოებას შეუძლია მხოლოდ დახმარების აღმოჩენა. რედ.